

ყარაჩუღელი ლოთი

(გუბღვნი გ. სუნდუკიანცს, «პეპოს» ავტორს)

მე რომ ვლოთობ, შენ რას გიშლი, ძმობილო?  
ბატონებო, ანუ კეთილშობილო?!

მე ქრისტე ღმერთს კინტოთ გავუჩენივარ,  
ლოთობაა ჩვენი წესი, ადათი...  
მითომ რაო! თქვენისთანა ვაჟები  
ბიჭობაში არ მეყოფა არც ათი!

მე რომ ვლოთობ, შენ რას გიშლი, ძმობილო?  
ბატონებო, ან შენ, კეთილშობილო?!

არ მკადრულობთ და დაცინვით მიყურებთ,  
თითქო მე ღმერთს მეტი გაუჩენივარ!  
მე ზოგსავით არც ძმასა ვკლავ, არც ვპარავ  
და ღარიბი ლუკმისა მომთმენი ვარ!  
ჯაფა-ტანჯვით ალალ ლუკმას ვშოულობ,  
მთელი კვირა ოფლს სულ ასე ვიწურავ...  
კვირა დღეს კი გამოვდივარ ძმა-ბიჭში,  
ყარაჩოღულ ლურჯ ქუდს გვერდზე ვიხურავ!

მე რომ ვლოთობ, შენ რას გიშლი, ძმობილო?  
ბატონებო, ან შენ, კეთილშობილო!

ძუნწი კაცი ქვეყანაზედ რად ცხოვრობს?  
ოჰ, გაუწყრეს მდიდარ ძუნწებსა ქოქი!  
მე რომ მოვკვდე, გევედრებით, ძმაოჯან,  
დამახალთ ზედ თავზედ სავსე დოქი!

მე რომ ვლოთობ, შენ რას გიშლი, ძმობილო,  
ლოთ ბიჭშია, აბა, რა ნახე ცუდი?  
მეც კაცი ვარ, რატომ ეგრე მიყურებ?  
მეცა მხურავს თავზედ ნამუსის ქუდი!

## მოგონებანი

### (მუდმივი ქართულ დრამატიულ სცენის დაარსებიდან)

შარშან, 1900 წელს, ჩვენი თეატრის ორმოცდა-ათი წლის იუბილეს და სამუდამო სცენის დაარსების გამო (ოცი წლის თავზე) ბევრი რამ, ასე თუ ისე საგნის შესახები, გამოითქვა, სხვათა შორის ჩვენმა პატივცემულმა მოღვაწემ პეტრე უმიკაშვილმა უფრო ვრცლად დაიწყო ამ საგანზე ლაპარაკი, მაგრამ... იმ დალოცვილმა სწორედ იქ გაათავა თავისი საინტერესო მოთხრობა, საიდგანაც უნდა დაეწყო. ბატონმა პეტრემ დაიწყო იქიდან, როდესაც, თავადის ვორონცოვი სდროს, თ. გიორგი ერისთავის მეოხებით პირველად გაიმართა (მეცხრამეტე საუკუნეში) ქართული წარმოდგენები, ორმოცდაათი წლის წინად. ყველას ეგონა, რომ ბ. პეტრე, როგორც წინასიტყვაობას, ისე იგონებს ვორონცოვის დროის ამბავს და შემდეგ ნამდვილ საგანზე გადავა, ე. ი. ქართულ სამუდამო სცენის ოცი წლის არსებობაზე; მაგრამ 1850 წლიდან გვატარა, გვატარა, რა არ გვიამბო და სწორედ იქ გაჩერდა, სადაც იწყება შესანიშნავი ხანა ჩვენი სამუდამო სცენის.

ეხლა მე მსურს ქართველ მკითხველებს გავუზიარო ჩემი მოგონებანი ჩვენი სამუდამო სცენის დაარსების შესახებ. ჩემი მოხსენების სინამდვილის მოწმე იქნება ის უმეტესობა გულწრფელ და უანგარო ქართული სცენის აღყვავების მსურველ მოღვაწეებისა, რომელნიც ამ ოცდაორი წლის წინად გულმხურვალედ მოეკიდნენ ამ დიდებულს საშვილიშვილო საქმეს და დღესაც დღეგრძელნი ბძანდებიან. ჩვენი სამუდამო სცენის აღორძინება, მისი წინმსვლელობა და გაფართოვება მე ჩაწერილი არა მქონია, და მკითხველს მინდა გავუზიარო მხოლოდ ის, რაც მე მახსოვს ამ საინტერესო საგნის შესახებ. ამასთანავე უმორჩილესად და უგულწრფელესად ვთხოვ ყველას, ვინც კი შეამჩნევს ჩემს მოხსენებაში გამოტოვებულს, რამე თვალსაჩინო ამბავს, მომეხმაროს და ოცდაორი წლის განმავლობაში დავიწყებული ნამდვილი ამბავი მომაგონოს. ზეპირად ხსოვნა რაიმე საქვეყნოს საქმის მიმდინარეობისა ძნელია; მით უმეტეს, ყველა ჩვენგანმა, განსაკუთრებით ჩვენმა მწერლებმა რომ წარმოსთქვან, რაც ახსოვთ ამა თუ იმ მწერლობაში და საზოგადოთ საქვეყნო საქმის შესახებ, მერწმუნეთ, რომ ურიგო არ იქნება. მხოლოდ ამ გვარად შეიძლება საზოგადო საქმის სინამდვილის აღდგენა. თორემ, დალოცვილები ყველა ჩუმად არის სიცოცხლის დროს და როცა დაიხოცებიან, მერე ვიღასა ჰკითხავ? სჯობს სიცოცხლითვე გამოვსთქვათ რაც გვახსოვს, ერთმანეთს დავეხმაროთ ჩვენი მოგონებით და მომავალს გადავცეთ სალი, ნამდვილი საქმე.

მაშ, დავიწყოთ ჩვენი მოგონებანი.

თ. თ. ვორონცოვისა და გიორგი ერისთავის შემდეგ ქართული წარმოდგენები კანტიკუნტად იმართებოდა, ბევრი კეთილშობილი ოჯახი იყო მოწადინებული, რომ გაემართათ წარმოდგენები, მაგრამ ბევრი დაბრკოლება ეღობებოდათ წინ. ჯერ დღეს უმეტესი ნაწილი ნახევრადგანვითარებულის საზოგადოებისა რა აზრისაა სცენაზე გამოსვლის შესახებ და იმ დროს რა იქნებოდა! «როგორ»? ქართული ქალი «ტრიატრში» გამოვიდეს საქვეყნოთ! ვიღაც უცნობ ყმაწვილს ელაზღანდაროს და ესიყვარულოს!.. თურმე ხელზედაც ჰკოცნიან, როგორც საკუთარ დანიშნულებსაო! ეს რა საქციელია, ვის ეკადრებაო? ასე ფიქრობდნენ და ამბობდნენ კიდეც. ბევრი იმ დროების შესაფერ განვითარებული ხალხიც ამ აზრისა იყო. თეატრი მიაჩნდათ

დიდათ სათაკილო და დასაძრახის საქმედ. შემდეგ და შემდეგ ბურუსი გადაეყარა ქართული თეატრის წყვილად, აქა-იქ გამოჩნდნენ სამშობლო სცენის გულშემატკივარნი. ეს მოძრაობა თან და თან გაძლიერდა, წადილი გაიზარდა, დამწიფდა და 1878 წელს ქართულმა სცენამ დახურული ფრთები გაშალა. ჩვენი განვითარებული ყმაწვილები (ჩვენ ქალებსაც ამათში ვსთვლი) გულმოდგინეთ და თავდადებით შეუდგნენ სამუდამო სცენის დაარსებას. ძალიან გაგძელდება ჩემი მოხსენება, რომ სათითაოდ ჩამოვთვალო ყველა მაშინდელ ქალ-ვაჟთა თითქმის თავგანწირული მისწრაფება ქართული სცენის აღორძინებისადმი. არც ეს გზა იყო უეკლო, როგორათაც ყოველივე საქვეყნო საქმის გზა... 1878 წელს, ერთს ჟღმურტილიანს შემოდგომის სადამოს სასახლის ქუჩაზედ მოვდიოდი; გზაში შემხვდა აწ განსვენებული თ. დავით ერისთავი და თავისებურად ფიცხად მკითხა: «სად მიდიხარ, ჰა? მოდი, შევიდეთ როინაშვილის ფოტოგრაფიაში, რეპეტიციას დავესწროთ!» როინაშვილის ფოტოგრაფია მაშინ პატივცემულ დავით თსა-რაჯიშვილის «ძველ» სახლებში იყო, ეზოში. ეხლა იქ გულასპოვის მაღაზიაა. გავყევი განსვენებულს. წარმოდგენები თეატრში ათი წლიდან მენახა; შინაურ წარმოდგენებზედაც ხშირად დავსწრებივარ ბავშვობისას და ჩემ ტოლებთან მონაწილეობაც მიმიღია, მაგრამ «დიდი და ხელოვანი» მოთამაშეთა რეპეტიცია არ მენახა და ამიტომ დიდი სიამოვნებით შევყევი დათიკოს ფოტო-გრაფიაში. სუფთა და ლაზათიანად მორთულ ოთახში ჩემს თვალს წარმოუდგა ძვირფასი ჯგუფი ყმაწვილ ქალთა და კაცთა, რომელნიც მხიარულად ბაასობდნენ. ოთახში ერთი ჟრიაშული იდგა. ეს ყმაწვილები ჩაის მიირთმევდნენ და სტოლზე ნაირ-ნაირი შესატანებელი ედგათ (შემდეგ გავიგე, რომ განსვენებულს ალექსანდრე როინაშვილს ყოველი რეპეტიცია ათ-ხუთმეტ მანეთად უჯდებოდა). ამ კრებაზედ დამსწრენი მახსოვს: კოტე და ელენე (აწ განსვენებული) დიმიტრი ყიფიანის შვილები, მარიამ ყიფიანის ქალი, მარიამ საფაროვის ქალი, ბარბარე კო-რინთელის ქალი, იულია და სტეფანე (და \_ ძმა) აღმუროვის შვილები, თ. ზაალ მაჩაბელი, აწ განსვენებული ნიკო შიშნიაშვილი, ადამ ჩუბინაშვილი, ნოდარ ჯორ-ჯამე, ალექსანდრე როინაშვილი და მოთავე ნიკო ავა-ლი შვილი.

თ. დავითმა წარმადგინა ამ ყმაწვილებთან და გააცნო ჩემი თავი. ეს კარგათ მახსოვს, რომ იმავე წამს დიდი ზრდილობით მომეგება დიდათ პატივცემული ჩვენი მოღვაწე სამწერლო თუ სასცენო ასპარეზზე \_ ნიკო ავალიშვილი და ღიმილით მითხრა: «ყმაწვილო, უნდა დაგვეხმაროთ და ერთი რამე როლი იკისროთ ჩვენს წარმოდგენაში. ვთამაშობთ «ძალათ ექიმს». მე, აბა, რას ვეტყვოდი და დარცხვენით მოვახსენე, რომ თუ კი გამოვდგები, ვიკისრებ-მეთქი. ბ-ნი ნიკო მმართველი, მოთამაშე, რეჟისორი და მთელი ავან-ჩავანი იყო მაშინ ქართულის რეპეტიცია-წარმოდგენებისა. მომცეს გლეხი-კაცის როლი «ძალად ექიმს»-ში, რომელიც სულ ზეპირად დავისწავლე, ჩემიც და სხვის როლებიც. წარმოდგენის დროს სცენაზე ჩავლუნე თავი (რადგანაც ხალხისა მრცხვენოდა), გამოუქნელი მოზვერივით და თვალების ბრიალით ავტეხე გაზეპირებული სიტყვების ჭექა-ქუხილი... სხვა მოთამაშეთ ყურს არ ვუგდებდი და როგორც კი გავათავე ჩემი როლი, გავსწიე კარებისკენ, მაგრამ შიშნიაშვილმა მტაცა ხელი: «ბიჭო, სად მიდიხარ, ჯერ ჩვენ ნახევარიც არ გვითქვამსო?!» ხელ მეორედ დამაბრუნეს და სხვებთან ერთად გამამეორებინეს ჩემი როლი. ეს იყო ჩემი პირველი გამოსვლა

სცენაზედ. წარმოდგენა იყო «ნემეცების კლუბში» ქალაქის «კრუჟოკის» გვერდით. ეხლა იქ მოთავსებულია სასტუმრო «დანია».

ამ გვარად გაიმართა რამდენიმე წარმოდგენები 1878 წ. და მეტად გაძლიერდა სურვილი სამუდამო სცენის დაარსებისადმი, და მაშინდელი ყმაწვილკაცობა, უმეტესი ნაწილი დღეს კარგათ მყოფნი და ჯანმრთელნი, მეტად ცდილობდა ამ საგნის შესახებ. ბევრი წარმოდგენები იმართებოდა... ბევრი იყო წარმოდგენებში მონაწილეობის მიღების მსურველი განურჩევლად გვარ-ტომობისა და ხარისხისა: ქართველი, რუსი, ფრანგი, სომეხი... თავადი, აზნაური, გლეხი... დიდის სამსახურის კაცნი და პატარა მოხელენი, რომელთაც თავის დროზე დავასახელებ. საყოველთაო მისწრაფება იყო, როგორც მოგახსენეთ, სამუდამო სცენის დაარსება. რეპეტიციები იმართებოდა განსაკუთრებით დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი ს და ნ ი კ ო ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს ოჯახებში და რ ო ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს ფოტოგრაფიაში. დამსახურებულ არტისტ ქალთა შორის, რომელთაც დღევანდლამდე გასტანეს ქართულ სცენაზე, მე დავასახელებ მ ა კ ო ს ა ფ ა რ ო ვ ი ს ქ ა ლ ს, რომელიც ყველაზე ადრე გავიცანი. ამის გამო ერთი სასაცილო შემთხვევაც-კი მახსოვს. 1878 წელს, ერთს დიდ თოვლიან და სუსხიან ზამთრის ღამეს რეპეტიცია გვექონდა (არ მახსოვს რომელი პიესისა) ნიკო ავალიშვილის სახლში \_ სოლოლაკში, კოჯრის გზა რომ ადის, სწორედ იმ კლდის ძირში. რეპეტიცია გავათავეთ ღამის თერთმეტ საათზე და რადგანაც ერთ მხარეს ვცხოვრობდით, მე და საფაროვის ქალი (კუკიაში) ერთად წამოვედით. საშინელი ქარ-ბუქი იდგა ცისქვეშ; დიდი ნამქერი მოეყარა ავალიშვილის სახლებთან, მთელი ოღრო-ჩოღრო კლდის ძირები თოვლით ამოვსილიყო. მე და მაკო გამოვედით ავალიშვილის სახლიდან და ხელ-ჩაჭედნი, როგორც «ორი ობოლი», გამოვემართეთ შინისკენ. ამ გასპეტაკებულ თოვლიან გზაზე რომ მოვდიოდით, უცბათ ორივემ შევკვივლეთ და გადმოვიჩხეთ კლდეზე თოვლში და ყელამდის ჩავცვივდით. ეს კარგათ მახსოვს. ჩვენ პირდაპირ, აივნის ქვეშ მდგომმა ქალაქის დარაჯმა თურმე შეგვნიშნა და ვიღაც კაცების დახმარებით თოვლიდან ამოგვართიეს თავგებივით გაზუნზულულ-გაგანგლულები. მე და ჩვენი დღევანდელი «პრიმადონა» გამოვეშურეთ შინისაკენ... ეს კი კარგათ არ მახსოვს, ამ ყინვაში რომელს ჩვენგანს ეცვა კალოშები, მე თუ საფაროვის ქალს, მხოლოდ მახსოვს, რომ ერთ-ერთ ჩვენგანს ეცვა და არ ვიცი, რომელს... მგონია, მე. იმედია, თითონ საფაროვის ქალი მოიგონებს. ასეთი ამბებით დავდიოდით რეპეტიციაზე ამ უბედურ ზამთარში.

მაშინდელი არტისტებიდან, რომელნიც 1879 წელში სამუდამო დასში ჩაეწერნენ, მე მახსოვს \_ კაცები: კ ო ტ ე ყ ი ფ ი ა ნ ი, ზ ა - ა ლ მ ა ჩ ა ბ ე ლ ი, აწ განსვენებული ნ ი კ ო შ ი შ ნ ი ა შ ვ ი ლ ი, ნ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე და ა დ ა მ ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი (მოთამაშე-ადმინისტრატორი), \_ ქალები: მ ა კ ო ს ა ფ ა რ ო ვ ი ს ქ ა ლ ი, მ ა - რ ი ა მ ყ ი ფ ი ა ნ ი ს ქალი და ბ ა რ ბ ა რ ე კ ო რ ი ნ თ ე ლ ი ს ქალი. ვ ა ს ო ა ბ ა შ ი ძ ე 1878\_1879 წლებში ქალაქ შუშაში იყო მასწავლებლად და დრო გამოშვებით ჩამოდიოდა ქალაქში. სამუდამო სცენის დაარსებიდან კი (1879) დღეს აქამომდე არ მოშორებია ქართულ სცენას. 1878 წელშივე ჩამოვიდა გორიდან ნ. გ ა ბ უ ნ ი ა ს ქ ა ლ ი და პირველად ჩამოვიდა დავით ერისთავისაგან გადმოკეთებულ ფრანგულ პიესაში: «გეო, მინას და კამპანია». ეს პიესა ვითამაშეთ «მუზიკალური საზოგადოების» ზალაში, იარმუკაზე. ეხლა იქ რაღაც სასტუმროა. ამავე ზალაში იმავე წელს ვითამაშეთ გ. ნ. სუნდლუკიანცის პიესა «ვიდევ ერთი მსხვერპლი». ამ პიესაში, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებდნენ სცენის მოყვარულნი: აწ

განსვენებული მიხეილ ელიოზიშვილი (ტფილისის ოქლის სასამართლოს წევრი), დათიკო და ფქვიაშვილი, ალექსანდრა დიდებულის ქალი და ბარბარე მერ-კუროვის ქალი (კვალიაშვილის მეუღლე). ამ პიესის რეპეტიცია, როგორც სხვა მრავლისა, იმართებოდა განსვენებული დიმიტრი იოფიანის სახლში, ნეტარხენებული დიმიტრი ყოველთვის გულლიად და სიამოვნებით დაგვიხვდებოდა და გაგვიმასპინძლებოდა ხოლმე. სულ იმას მოგვაგონებდა: «ყმაწვილებო, საძნელო საქმეს მოჰკიდეთ ხელი და გულს ნუ გაიტყებთ, ნუ შედრკებით! ყველა საქმის დაწყება, რაც უნდა მცირეს იყოს იგი, საძნელოა, მაგრამ თუ გულმოდგინეთ და მუყაითად მოეკიდებით მას, საქმე კაცს ვერ გაექცევა და თქვენი ჭირნახულიც უუტკბილესი იქნება».

ერთი რეპეტიცია ან სხვა რამე კრება არ მახსოვს დიმიტრის სახლში, რომ მას, სულმნათს, არ ეთქვას ჩვენთვის რამე სანუგეშო, გამამხნეველი და წამქეხებელი დარიგება.

ერთხელ, არ მახსოვს, რა პიესა იყო, რეპეტიციაზედ სუფლიორობაც კი იკისრა განსვენებულმა, რადგანაც ჩვენ ყველანი მოთამაშენი ვიყავით და მეტი კაცი არა გვყავდა. მაგრამ პირველ მოქმედებაშივე დადლილობა რომ შევატყეთ, მივცვივდით და ძალით წავართვით წიგნი ხელიდან...

ამავე ხანში მხურვალე მონაწილეობას იღებდა ჩვენი თეატრის საქმეში დიდად პატივცემული. თ. გიორგი თუმანიშვილი, რომლის უმთავრესი აზრიც იყო ცოტ-ცოტად შეგვეძინა სასცენო ტანისამოსები, უმეტესად ჩვენებური პიესებისათვის. შემოწირულებაც მოგვდიოდა აქედ-იქიდან. ასე რომ სამუდამო სცენის დაარსების დროს ძალიან ცოტა გვეჭირვებოდა საქირავებელი ტანისამოსი. ასე და ამ გვარად ზემოხსენებულ კეთილშობილ მოღვაწეთა თაოსნობით სამუდამო სცენის დაარსებისათვის (1879 წლის სეზონისათვის) რეპერტუარიც და ტანისამოსიც საკმაოდ გვექონდა.

## 2

შემდეგ დიდის შრომა-მეცადინეობისა ქართული თეატრის მოთავეთა და არა ნაკლებ შრომა წვალეებისა (მათი ხელ-მოკლეობის გამო ახალგაზრდა არტისტებისა, რომელთაც ბევრი გაჭირვება, სიცივე და შიმშილი აიტანეს ამ სასიქადულო საქმეზე დამდგართა, როგორც თეატრის საქმეა, \_ შემდეგ ამ ათასგვარი ვაი-ვაგლახისა და დაბრკოლებისა \_ 1879 წლის გაზაფხულისთვის მზად იყო სამუდამო დასი, შემდგარი უნიჭიერეს არტისტებისაგან, რომელთაც დღეს აქამომდე არამც თუ სამაგიერო, სანაცვლო, არამედ ფერმკრთალად მიმბამავიც კი ვერავინ გამოუჩნდათ, მეტადრე ზოგიერთებს!.. აღნიშნულ გაზაფხულამდის ერთად მოღვაწეობდნენ მომავალი სამუდამო სცენის არტისტები და სცენის მოყვარენი; გაზაფხულის მიწურულებში კი ბევრმა სცენის მოყვარულმა არ ისურვა სამუდამოთ დასში ჩაწერა და დასტოვა სცენა, თუმცა გულითადად აღუთქვა დახმარება დასს საჭიროებისამებრ.

ასე კეკლუცად შემდგარი დასი რომ არ დაფანტულიყო და ძლივს-ძლივობით თავი-თავს-მოყვანილი საქმე არ ჩაშლილიყო, მეთაურებმა გადასწყვიტეს საზაფხულოდ დასის მოგზაურობა ჩვენს დაბა-ქალაქებში. პირველი მოგზაურობა შესდგა 1879 წლის თიბათვეში.

მეთაურთა გადაწყვეტილებით და ბეჭედ-დასმით მოვემზადეთ სამოგზაუროთ. ჩავალაგეთ ბარგი, რაც უფრო საჭიროდ მიგვაჩნდა, ორს უზარმაზარ სკივრში. ეს

ბარგი თვლით ჩამაბარა პატივცემულმა გიორგი თუმანიშვილმა და ამასთანავე დასძინა: «თუ ვინიცობაა, სხვა ტანისამოსი დაგჭირდეთ, მოიწერეთ და, მაშინვე გამოგიგზავნით, სადაც იქნებითო». მართლაც და მალე დაგვჭირდა ტანისამოსი გორშივე.

ერთ მშვენიერ დილას შევიკრიბენით ტფილისის რკინის გზის სადგურზე. იქვე მოიყარეს თავი ჩვენმა კეთილის მსურველებმა. შემდეგ დარიგებისა, მშვიდობით მოგზაურობისა და გამარჯვების სურვილის გამოცხადებისა გამცილებელთაგან, ჩავსხედით მატარებელში. გამცილებელთ ხელმეორედ გზა დაგვილოცეს, ვახსენეთ ღმერთი, პირჯვარი გადავიწერეთ და გაუდექით გზას. დასს შევადგენდით – კაცები: ვ ა ს ო ა ბ ა შ ი ძ ე, კ ო ტ ე ყ ი ფ ი ა ნ ი, ზ ა ა ლ მ ა ჩ ა ბ ე ლ ი, ნ ო დ ა რ ჯ ო რ ჯ ა ძ ე, გ რ ი გ ო ლ ყ ი ფ- შ ი ძ ე და მე. გორში წამოგვეწია ა და მ ა ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი კიდევ საჭირო ტანისამოსით. ბ. ადამი გვყავდა ადმინისტრატორად; აგრეთვე იმას ებარა რეკვიზიტის და სხვა სასცენო საჭიროებათა მოპოვება; თამაშობაშიაც იღებდა მონაწილეობას. ქალები იყვნენ: მ ა კ ო ს ა ფ ა რ ო ვ ი, მ ა შ ო ყ ი ფ ი ა ნ ი, ბ ა ბ ო კ ო- რ ი ნ თ ე ლ ი და ნ ა ტ ო გ ა ბ უ ნ ი ა. აგრეთვე საკუთარი მეპარიკე გვყავდა – პატარა და თ ი კ ო ა მ ი რ ა ჯ ი ბ ი, დღეს თავის ხელობის არტისტი, ხნოვანობით ქალები იყვნენ 18-21 წლამდის. ხოლო კაცები – 21 წლიდან მოკიდებული, და სულ უფროსი ჩვენში თუ იქნებოდა 27-29 წლისა, ბევრი რომ არ ვთქვათ, ადვილი წარმოსადგენია, როგორი სასიამო და მხიარული მოგზაურობა ექნებოდა ამ არტისტთა მშვენიერ ჯგუფს, მშვენიერის სურათების და ძვირფასს მოძმეთა ნახვის იმედებით აღფრთოვანებულნი (ბევრი ჩვენგანი «კორტოხს» არ გადასცილებოდა) მივქროდით დასავლეთისკენ... ვმღეროდით, ვხუმრობდით, ვხარხარებდით... მეტადრე როდესაც საუზმე გავშალეთ და ყველანი შემოუსხედით! ძნელია ასეთი სხვა სიტკბოება იგემოს კაცმა. ჩვენ შევადგენდით ერთი ოჯახის შვილებს, და-ძმებს, ძნელი წარმოსადგენია ის დაძმური გულწრფელი სიყვარული და პატივის-ცემა ერთმანეთისა, რომელიც მაშინ ჩვენ შორის სუფევდა. ჩვენი ქალები უჩვენოდ, უვაჟკაცოდ, ფეხს არ გადასდგამდნენ, თუმცა გზაში ხშირად შეხვდებოდათ ხოლმე ნაცნობ-ნათესავები, და ჩვენ, კაცები, თუ წავიდოდით სადმე სასეირნოდ ანუ უცნობი ადგილების დასათვალიერებლად, უთუოდ ქალებიც თან უნდა წაგვეყვანა. კიდევ ეს იყო მიზეზი, რომ დაბა-ქალაქებში, რა ხედავდნენ ჩვენს მეგობრულ განწყობილებას ერთმანეთში, არასოდეს რამდენიმე რჩეულთ არ მიიწვევდნენ სანადიმოდ, უთუოდ ყველანი, გამოუკლებლივ უნდა მიეწვიათ. ხშირად, მოგზაურობის დროს, ჩვენი მეგობრული განწყობილება რომ უნახავთ, უთქვამთ: «ეს ქალი უთუოდ თქვენი და არის, ან ეს იმისი ძმა». ყველა ამას იმისთვის ვამბობ, რომ როგორც ყველას მოგეხსენებათ, ყოველ საზოგადო თუ კერძო საქმეში უთანხმოებაა ხელის შემშლელი და დამლუპველია საქმისა. აი სწორედ ეს უთანხმოება სასტიკად განდევნილი იყო ჩვენგან. ამიტომ სასურველი და დაუფიქრარი ნაყოფი მოიტანა ჩვენმა უუტკბილესმა მოგზაურობამ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში: ბევრმა მიჰბაძა დასს, ბევრი მიემხრო მას და დღეს თვალსაჩინო არტისტები არიან... დღეს არამც თუ საქართველოს დაბა-ქალაქებში, იშვიათი სოფელი მოიპოვება, სადაც ქართული წარმოდგენები ათასში ერთხელ მაინც არ იმართებოდეს. მე ეს დიდებულ მოვლენად მიმაჩნია (შედარებით), და ამ მოვლენის სათავე იწყება დრამატიული დასის მოგზაურობიდან უფრო... საგანს ცოტა გადაუხვიე, მომიტევეთ.

ესეც, მივედით გორში. გაჩერდა მატარებელი, გადმოვხტით სადგურზედ, მაგრამ ძნელია იმ ენთუზიაზმის, იმ უსაზღვრო აღტაცების გამოთქმა, როგორც ჩვენ გორის საზოგადოება დაგვიხვდა! სახალხო მატარებლის მოსვლის დროს ხომ ყველა სადგური ხალხით ივსება, აქ სხვებს ჩვენი დამხვედრნიც მიმატებოდნენ და სხვა ცნობის მოყვარენი. ამ გვარად სადგური წარმოადგენდა ხალხის ზღვას, რომელიც ჩვენს დანახვაზედ აღელდა, შეირყა და «ვაშას» ძახილით მოგვეგება. ხალხი მიგველოდა, რადგანაც გაზეთებიდან იცოდნენ ჩვენი მოგზაურობის განზრახვა და ჩვენ თითონაც წინად შევატყობინეთ, რომ ბინა და სათეატრო დარბაზი მოეწყობო. თითქმის ყველა ჩვენგანს იცნობდა საზოგადოება გაზეთებით, და ამიტომ, გადმოვედით რა ვაგონიდან, ვის მეგობარი შეხვდა, ვის ნათესავი და ნაცნობი. ასტყდა ერთი ჟრიამული, ხვევნა-კოცნა, მშვიდობით მოსვლის მოლოცვა.... მოპატიჟე ბევრი გამოგვიჩნდა და ორ-ორ, სამ-სამ კაცს გვთხოვეს თავიანთ სახლში ჩამოხტომა, მაგრამ ჩვენ მადლობა გამოუცხადეთ და მოვახსენეთ, რომ ცალ-ცალკე ჩვენი დადგომა ძნელია და რომ ყველანი ერთად უნდა ვიყოთ სადმე სასტუმროში, რადგანაც რეპეტიციები გვჭირია, ტანისამოსის არჩევა გვინდა და ბევრი რამ საქმის შესახები და ყოველთვის სად ვეძებოთ ერთმანეთით. პატივცემულმა ა ღ ა ლ ო თ უ თ ა შ ვ ი ლ მ ა მთელი დასი მიიწვია თავის სახლში. მაგრამ ჩვენ დიდის მადლობით უარი მოვახსენეთ, თუმცა მაშინაც და შემდეგში, როცა კი გორში ავიდოდით, ჩვენი ადლოს სახლი ჩვენთვის მუქთი სასტუმრო იყო; სადილ-ვახშამი, როცა გვნებავდა და არც ძალიან ვთაკილობდით მის სახლში დამის გათევას. ეს პატიოსანი ოჯახი, დარწმუნებული ვარ, ყოველთვის ეხსომებათ მაშინდელ მოგზაურ არტისტებს. საზოგადოთ ბ. ადლოს ოჯახისაგან ძალიან დავალებულია ქართული მოგზაური დასი. ამასთანავე უნდა აღვნიშნო გულწრფელი თავგამოდება და დახმარება განსვენებულის თავადის ნ ი კ ა დ ი - ა ს ა მ ი ძ ი ს ა, რომელიც მოყვარული ბავშვივით სულ უკან დაგვდევდა და გვემუდარებოდა: «აბა, ყმაწვილებო, ყოჩაღად იყავით, თქვენ გენაცვალეთ! მომთხოვეთ, რაც დაგჭირდეთ: რა გაკლიათ, თეატრში რა გჭირიათ ან ცხოვრებით ხომ კმაყოფილნი ხართ»... მართლაცა და, რაც დაგჭირდებოდა სცენისათვის, თ. ნიკოს მივმართავდით და განსვენებული იმ წამსვე აფრენდა ბიჭებს. დიდივე პატივი გვცა განსვენებულის დამ კნეინა ნ ი ნ ო ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა მ, რომელმაც რამდენჯერმე მიიწვია თავისთან სანადიმოთ მთელი დასი... და მრავალთა სხვათა. საზოგადოდ მიწვევას და აღტაცებული დროს გატარებას საზღვარი არა ჰქონდა.

თუთაშვილის, თ. დიასამიძის და სხვათა თაოსნობით ვიშოვეთ თავისუფალი სადგომი დიდ ქუჩაზე, ზუბიაშვილის სახლში, რომელშიაც დაგვითმეს სამი ფართო ოთახი (მარკოზოვის სასტუმროს პირდაპირ), აქ ჩამოვხდით მთელი ჩვენი ბარგი-ბარხანათი, ქალებმა დაიჭირეს ერთი ოთახი, კაცები და ბარგი მოვთავსდით ორ ოთახში, საჩქაროდ მშვენიერი ლოგინიც მოგვიტანეს ჩვენმა ძვირფასმა მასპინძლებმა. მეორე დღესვე დავიწყეთ რეპეტიციები და მივყავით ხელი წარმოდგენებს. წარმოდგენებს ვმართავდით როტონდაში, ხიდის ყურთან, ქალაქის ბაღში. მაშინ ეს ბაღი საკმაოდ მოწყობილი და ტურფა ხეებით სავსე იყო. როგორც მოგეხსენებათ, ამ რამდენიმე წლის წინად თითქმის ნახევარზე მეტი ბაღი მტკვარმა წაიღო და დღესაც იმავე მდგომარეობაშია. რა თქმა უნდა, რომ როტონდა სულ სავსე იყო ხოლმე. ან სად დავტევედით ამოდენა ხალხს: გორელები ხომ იყვნენ და იყვნენ – დიდი და პატარა, ეხლა სოფლებიდან მოემატა თავად-აზნაურობა... ზალაში ხომ ჰქედვა იყო, და ბევრი ერთი-ორად იძლეოდა ფულს, ოღონდ

კარებიდან და ფანჯრებიდან გვაყურებინეთო, ჩვენც ვალეზდით კარებს და ფანჯრებს: ამ გვარად ხალხი, რომლითაც სავსე იყო მთელი ბაღი, სიამოვნებდა წარმოდგენის ნახვით. მეტი იქნება ვსთქვა, რომ ამ წარმოდგენების გამო საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

ამ წარმოდგენებს ყოველთვის მოსდევდა დაუსრულებელი ვახშამი ამა თუ იმ ოჯახში ანუ რამდენიმე პატივცემულთაგან სასტუმროში გაკეთებული. ხშირად ვახშამზე მჯდომთ თავზე დაგვათენდებოდა ხოლმე; მხოლოდ სადილად არსად არ დავდიოდით, რადგანაც ვფრთხილობდით, რომ სადამოზედ, წარმოდგენის დროს ძალიან მხიარულად არ ვყოფილიყავით სცენაზე.

ტფილისის გაზეთში გორელი კორესპონდენტები დიდს ქება-დიდებასა და აღტაცებას იწერებოდნენ დასისადმი. ჩვენ კერძოთ ვატყობინებდით თეატრის გულშემატკივრებს ჩვენს გამარჯვებას და საზოგადოების დიდს ყურადღებას ჩვენდამი. გორშივე ყოფნის დროს ბ-ნმა გიორგი თუმანიშვილმა მოგვაშველა დანარჩენი ტანისამოსი, რომელიც მოგზაურობაში ასე თუ ისე საჭირო იყო. ეს ტანისამოსი და ბ. გიორგის წერილი გორში ამოგვიტანა ბ-ნმა ადამ ჩუბინაშვილმა, რომელიც შემდეგ მოგზაურობაში თან წამოგვყვა. ბატონი გიორგი მწერდა:

«ბატონო ავქსენტი! შინაურმა საქმეებმა და სხვა ათასმა ჭირმა არ მომცეს ნება, რომ წამოვსულიყავი გორს და ამიტომაც დანარჩენი თქვენი ბარგი გამოვატანე ბ. ადამს, რომელსაც გიგზავნი ამ წიგნთან ერთად. მიიღებთ აგრეთვე წიგნს, რომელშიაც ჩაწერილია თქვენგან წაღებული ნივთები და რომელსაც აკლია თქვენი ხელის მოწერა.

თუ მომიგონებთ მაგ ტკბილს მოგზაურობაში და მოინდომებთ ჩემთან წიგნის მოწერას, მომწერეთ შემდეგი ადრესით:

თქვენი პატივისმცემელი გიორგი თუმანიშვილი 24 ივნისს, 1879 წ.»

ერთ კვირამდის დავრჩით გორში, რამდენიმე წარმოდგენა გავმართეთ, რომლითაც დიდათ ნასიამოვნები და კმაყოფილნი დავრჩით ჩვენცა და საზოგადოებაც. კვალად ჩავიბარგეთ, წამოვიკიდეთ ჩვენი გუდა-ნაბადი და გავსწიეთ რკინის გზის სადგურისკენ, თითქმის მთელი გორი გამოგყვა სადგურზე გასაცილებლად. შემდეგ მრავალის გამოსათხოვებელის სიტყვებისა, ჯან-საღათ და გამარჯვებით დაბრუნების სურვილის გამოცხადებისა ჩვენს გამცილებელთაგან, ჩავსხედით მატარებელში და გაუდექით გზას გულნაღვლიანნი ძვირფასის საზოგადოების დატოვების გამო. ჩვენზე არა ნაკლებ გულ-ნაკლულნი დავტოვეთ საზოგადოება, რომელიც ისე შეგვეჩვია და შეგვეთვისა, რომ ჩვენი მოშორება აღარ უნდოდათ.

მივქრით ათასფერად აჭრელებულ-აყვავებულს, სიცოცხლით სავსე მინდვრებზედ... ხაშურში და სურამშიაც ბევრი ნაცნობი დაგვხვდა და აღტაცებით გაგვაცილეს. სურამში ჩვენს მატარებლის წინ და უკან დაებლაუჭა ორი ორთქლ-მავალი და სტვენა-ხვნეშით შეუდგნენ აღმართს. კორტოხზედ ავდიოდით. ეს კი ჩვენთვის ახალი სანახავი იყო და ვაგონის ფანჯრებს მივაწყდით... რამდენიმე წუთის შემდეგ სურამს ისე დავსცქეროდით, როგორც მთაწმინდის გორიდან რომ გადმოხედო ტფილისს. რომ არ შეიძლება ამ დიდებული სანახაობის წარმოდგენა! ავდიოდით სულ მაღლა და მაღლა ატეხილ მწვანე ტყით შემოსილს მთაზედა და ძირს გადავცქეროდით ტყითვე დაფენილს ფერდოებს და სულ ძირს სურამულას ხეობას. სწორედ გულსატკენია, როგორ გაიმეტეს, რომ ეს გზა გააუქმეს და მეორე მხარეს ეს წყვდიადი გვირაბი გაიყვანეს! არა მგონია, ამისთანა დიდებულ



სანახაობის მოტრფიალე ევროპიელთ ჩაედინათ ესეთი საქმე. ავცოცდით მთის წვერზედ ორთქლ-მავლის ბევრი ხვნეშა-კვნესით და დავეშვიტ იმერეთისკენ დაკლაკნულ გზით. უფრო უუდიდებულესი სურათი წარმოგვიდგა თვალიწინ... ნელ-ნელა მივცოცავთ დაღმართზე; ორსავე მხრივ ამართული თვალუწვდენელი კლდეები და ალაგ-ალაგ ტყით შემოსილი მთაგორაკები. მვიდევთ წყლის ნაპირს ნელ-ნელა, ფრთხილად. მდინარე ყვირილა თანდათან იზრდება, მას ემატება ძირულაც. აი, მივედით ყვირილის სადგურზე. ეხლა-კი სულ დაბლობზე ვართ იმერეთში... აქედან რიონის სადგურამდე ძალიან ჩქარა დადიან მატარებლები, ერთი კი შევიქაქანეთ და გავფრინდით ქუთაისისკენ.

ქუთაისის სადგური ხალხით სავსე იყო: ბევრნი გამოსულიყვნენ ჩვენს დასახვედრათ. ყველაზე ადრე შევნიშნეთ არტისტი კოტე მესხი. კოტე მესხი, რომელიც ყველაზე წინ სადგურის ბაქანზე ჭოტივით დარჭობილიყო და მოუთმენლად გველოდა. გაჩერდა მატარებელი და მისულთ და დამხვედრთა შორის ასტყდა მხიარული სალაში და ჟივილ-ხივილი. შემდეგ მისალმებისა და ერთმანეთის გაცნობისა, ჩავსხედით ეტლებში და გავემართეთ სასტუმროსაკენ. ჩვენ ჩამოვხდით, ქუთათურების რჩევით, სასტუმრო «ივერიაში» ბულვარის პირდაპირ, ეხლანდელი ხარაზოვის თეატრის ახლო. მაშინ ხარაზოვის თეატრი არ იყო და წარმოდგენები ცირკის შენობაში უნდა გაგვემართა. ცირკის შენობა იყო ჩვენი სასტუმროს პირდაპირ, ერთის მხრით, და ეხლანდელი ხარაზოვის თეატრისა, მეორეს მხრით, შუაგულ მინდორზე, ახლო-მახლო რაღაც დანგრეული ქოხ-მახები იყო. ეხლა იქ ორ-სართულიანი სახლებია გადაჭიმული, სადაც, სხვათა შორის, მოთავსებულია საუკეთესო მაღაზიები. დავათვალიერეთ ცირკის შენობა; ეს იყო კარგა მოზრდილი ოთხკუთხი ხის სახლი, უჭერო და მხოლოდ თუნუქით გადაჭედილი. ადვილათ წარმოიდგენს მკითხველი, რომელსაც კი უნახავს ქუთაისი მკათათვის სიცხეებში, რა ყოფაში ვიქნებოდით ამ გახურებულ თუნუქის ქვეშ! მეტი გზა არა გვქონდა, ისევ ცირკი უნდა მოგვეწყო. შეუდექით სცენის და დეკორაციების შეკეთებას. ჩვენ იღბალზე მუქთა დეკორატორიც გამოგვიჩნდა. ეს იყო თვით არტისტი პატივცემული დ ა თ ი კ ო მ ე ს ხ ი, ჩვენი ცნობილი არტისტების \_ ეფემია და კოტე მესხების ძმა. ბ. დათიკომ ახალი შპალერი გააკრა კედლებზე და მშვენიერი სცენა მოგვიწყო. დეკორაციების გამოცვლა-დადგმასაც ის განაგებდა. ამასთანავე ჩვენს წარმოდგენებშიაც იღებდა მონაწილეობას საჭიროების დაგვარად. ამნაირად საკუთარი დეკორატორი \_ არტისტიც მოგვემატა. საზოგადოდ განსვენებული სვიმონ მესხის შვილები \_ ქალები თუ ვაჟები \_ ყველანი მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ თეატრის საქმეში. ამავე მესხების და სხვა ყმაწვილთა თაოსნობით ჩვენ მოსვლამდისაც იმართებოდა წარმოდგენები, ორ კვირაში ერთხელ მაინც, მაგრამ... ჩვენი საზოგადო ქართული სენი ვინ არ იცის? ერთის მხრით, ხელმოკლეობა და, მეორესი, ცუდლუტობა ყოველთვის აბრკოლებდნენ ამ დიდებული საქმის წინ მსვლელობას. ორი და სამი კაცი რას გააწყობდა იქ, სადაც ათი და ოცი უკუღმართი იყო?

დავიწყეთ წარმოდგენები, პირველად დავდგით, «პეპო». პეპოს თამაშობდა მაჩაბელი, შუშანას \_ გაბუნია, კეკეს \_ კორინთელი, ზიმზოვს \_ აბაშიძე, ეფემიას \_ საფაროვი, გიქოს \_ ყიფიანი და კაკულის \_ ცაგარელი. განა არა, რომ მშვენიერი ანსაბლით ჩაივლიდა პიესა! მართლაც და ჩინებულად თამაშობდნენ ამ პიესას ზემოხსენებული არტისტები. მიუხედავად ამ სიცხე-პაპანაქებისა, რომელიც მკათათვეში იცის ქუთაისში, რის გამოც უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა

ზაფხულობით გაიხიზნება ხოლმე ქუთაისის ახლო-მახლო სოფლებში მშვენიერ აგარაკებზე, მიუხედავად ამისა ყოველთვის ძალზე გატენილი იყო ხოლმე ჩვენი თეატრი ხალხით.

«პეპო»-ს წარმოდგენის დროს ერთი სასაცილო ამბავი დაგვემართა. პიესის იმ ალაც ვთამაშობდით, სადაც კაკული აჩქარებს გიქოს: «ჩქარა წამოდი, პეპო დაიჭირეს!» ჯერ ხომ კაცს გულს გაუწყალებს გიქოს ზღაზნა, ფათური და ბურნუთის კოლოფის ძებნა, ახლა წარმოიდგინეთ კოტე ყიფიანის თამაშობა ამ როლში, იმისი ჩმუჩვნა, ზოზინი და სიზანტე... მე მართლა გული მომივიდა. დავტაცე ამ მოხუცებულ გიქოს კისერში ხელი, ძუნძულით გამოვიგდე წინ, მაგრამ... დახედეთ ჩვენს ბედს: კარები ვეღარ ვიპოვეთ! ჩვენს ნაქებ დეკორატორს ერთნაირი შპალიერი გაეკრა კარზე და კედლებზე (წინად ეს ვერ შევნიშნეთ), კარები ვერ გავარჩიეთ და ჩემი გიქო გამოქანებული კურატივით თავით დაეტაკა კედლის ხარისას... გავხიეთ შპალიერი (კედელი) და... ორივენი გავგორდით კულისებში! ამის გამო კარგა ლაზათიანად გამლანძღა თავგატეხილმა გიქომ, საზოგადოება კი განუწყვეტლივ ხარხარებდა და გვეძახდა.

### 3

ქუთაისში დავრჩით ერთი კვირა და დღე გამოშვებით ვმართავდით წარმოდგენებს, რომელსაც აუარებელი ხალხი ესწრებოდა; შემოსავალი ყოველთვის მშვენიერი გვექონდა ხოლმე, და ეხლა რომ დავფიქრდები, ვერ ამიხსნია, რას ვუშვრებოდით ამოდენა ფულს, რადგანაც სასტუმროს ქირის გარდა, არაფერი ხარჯი ჩვენ არა გვექონია! ქუთათურების წვეულობა-პატიჟს ბოლო არა ჰქონდა, და, აბა, ფული რაში უნდა დაგვეხარჯა?..

სამუდამო სცენის აღორძინებამ იმერეთში დიდი აღტაცება გამოიწვია საზოგადოთ. არა მარტო ინტელიგენცია დღესასწაულობდა ამ საზოგადო საქმის დაწყებას, არამედ დაბალი წოდების პატიოსანი მშრომელი ხალხიც, რომელიც, რა დაინახავდა ქუჩაში მიმავალ არტისტს, აღტაცებით და «ვაშას» მახილით მიეგებებოდა და გააცილებდა. არა მარტო საზოგადო ნადიმები იმართებოდა, კერძო ოჯახებშიაც თითქმის ყოველ-დღე იწვევდნენ არტისტებს; მაგრამ ყველგან წასვლა როგორ შეგვეძლო, რადგანაც, ორი თვეც რომ დავრჩენილიყავით ქუთაისში, მაშინაც ვერ მოვასწრობდით ჩვენი ძვირფასი მასპინძლების სურვილის ასრულებას.

მახსოვს, რიონს გაღმა ბაღებში ყმაწვილმა ხალხმა \_ ხელოსნებმა და ვაჭრებმა \_ არა ერთი სადილი გაგვიმართეს, დაუვიწყარი სიამოვნებით გატარებული. მე ამ წვეულებას იმიტომ ვიგონებ, რომ მასში იხატებოდა აღტაცება, შეგნება და შეთვისება იმ საზოგადო საქმისა, რომლის მოხელენიც ჩვენ ვიყავით და რომელიც ხალხმა უცბად შეიგნო: თორემ ქეიფს და დროს გატარებას, მაინც და მაინც, არაფერი საპატიო მიზეზი არ ესაჭიროება.

არც ძვირფასმა ქუთათურმა ქალებმა დასტოვეს უყურადღებოდ ჩვენი დასი: სხვა და სხვა საჩუქრების გარდა, გამოვიგონეს ახალი «ფორმა» ტანთსაცმელისა, რომელიც პატივცემული ა ნ ნ ა მ ე ს ხ ი ს (დღეს პეტრიაშვილის მეუღლე) თაოსნობით ქუთათურმა ქალებმა შეგვიკერეს თავის ნარ-ნარის ხელებით ყველას \_ ქალებს და კაცებს. ეს იყო ლურჯი ხალათები (ბლუზა), მატროსული ტანისამოსის მაგვარი, ფართო საყელოებით, თეთრი «კანტებით» და გულზე ჩამწკრივებული ექვს-ექვსი ვერცხლის, ახალციხური ხელოვნების ბუმბიანი ღილებით, როდესაც

ეს ტანსაცმელი ჩაგვაცვებს, იმათს და ჩვენს სიამოვნებას საზღვარი არა ჰქონდა. ეხლა კი ყველა გვიცნობდა, ვინც ვიყავით ამ ერთგვარ შეხამებულ ტანისამოსში. ამ ტანისამოსით შემოვიარეთ მთელი დასავლეთი საქართველო და ამითვე დავბრუნდით ტფილისში.

ქუთაისშივე, წამოსვლის წინა დღეს, გადავიხადეთ ჩვენ, ამხანაგებმა, ჩვენი უნიჭიერესი არტისტების ვ ა ს ო ა ბ ა შ ი ძ ი ს და მ ა კ ო ს ა ფ ა რ ო ვ ი ს ქორწილი. მივიწვიეთ რა ღრმად პატივცემული მოძღვარი მამა რ ა ქ დ ე ნ გ ი გ ა უ რ ი, გადავწერეთ ჯვარი ჩვენს მეფე-დედოფალს და სასტუმროში გავუმართეთ ამხანაგური, არა მდიდრული, მაგრამ ძალიან მხიარული სადილი, რომელზედაც რამდენიმე გარეშე პირიც გვყვანდა მოწვეული. მახსოვს, რომ დალოცვის შემდეგ, მამა დეკანოზმა ძვირფასი ნივთი უბოძა საფაროვის ქალს. ამ ხანას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მომავალ პრიმადონა – პატარა ტ ა ს ი კ ო ა ბ ა შ ი ძ ი ს ა თ ვ ი ს, რადგანაც ის და სამუდამო სცენა თითქმის ერთ დროს გაჩნდნენ ქვეყნად.

თუმცა ქუთათურებს თავი არ მოვაბეზრეთ ჩვენი ხანგრძლივი სტუმრობით (8-10 დღე), პირიქით გვთხოვდნენ, რომ ცოტა ხანს კიდევ დავრჩენილიყავით, მაგრამ ჩვენ გულწრფელი მადლობა მოვახსენეთ და კვალად ავიბარგენით, რადგან კარგი დიდი მანძილი გვქონდა გასავლელი ხმელით თუ ზღვით. წამოსვლის წინა დღეს ქუთაისის ინტელიგენციამ დიდებული ნადიმი გაგვიკეთა. ამ დღეს იოსელიანის ბაღში მოიყარეს თავი დიდებულსა და ათასფერად შემკულს სუფრაზედ მოციანარ-მომღიმარ ქალთა და კაცთა. ჩვენ ყველანი ერთად მივედით და ეს ძვირფასი საზოგადოება აღტაცებითა და სამხედრო მუსიკის დაკვრით დაგვხვდა კარებშივე. მიგვიწვიეს და გაიმართა ნადიმი ტკბილი, სასიამო, მხიარული და აღტაცებული. ასზე მეტი ქალი და კაცი ბრძანდებოდნენ ჩვენი მასპინძლები, და ეს დიდებული მეჯლისი განუწყვეტლივ მარტოდენ ჩვენდამი მადლობის გამოხატვის და ჩვენი ნაკისრის საზოგადო საქმის სიდიადის გარკვევა-გამოთქმაში ატარებდა დროს. ითქვა ბევრი ღრმა და გულის აღმძვრელი სიტყვა. ყველა გამოსთქვამდა თავის აზრს გულწრფელად, სიყვარულით და სასოებით. რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი ძვირფასი მოწინავე ქართველები, როგორც თ. კ ი რ ი ლ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ბ-ნი მ ო ს ე ქ ი ქ ო ძ ე, აწ განსვენებული ა ნ ტ ო ნ ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე და სხვა მრავალნი, მამულიშვილურის გრძნობით გამსჭვალულნი, თავიანთი უებრო «სიტყვებით» ღრმა შთაბეჭდილებას მოახდენდნენ ყველა იქ დამსწრეებზედ, განსაკუთრებით ჩვენზედ – სტუმრებზედ. ამ გვარად, ამ ტკბილმა და დაუსრულებელმა სასიამოვნო და დიდათ სამხიარულო სადილმა ღამის თორმეტ საათამდე გასტანა ამ მშვენივრად გაჩირადდებულსა და ამწვანებულს ბაღში. გამოვეთხოვეთ ძვირფას მასპინძლებს და მივაშურეთ ჩვენს სასტუმროს; თითქმის ყველა იქ დამსწრეთ მიგვაცილეს ჩვენს ბინამდის.

გათენდა დილა და რკინის გზის სადგურზედ გამოვედით. აქ კვალად მოგვაგნეს ჩვენმა გამცილებლებმა და უკანასკნელს გამოთხოვებას დასასრული არა ჰქონდა. ბევრი ჩაგვიჯდა მატარებელში და რიონის სადგურამდის გამოგვაცილა. ბევრი იქ ეტლებითაც წამოგვეწია, რადგანაც მატარებლისთვის ვერ მოესწროთ. აქ ჩვენი უკანასკნელი გამოთხოვება იყო ქუთათურებთან და გაუდექით გზას ფოთისკენ. მაშინ ბათუმის გზა არ იყო. ფოთამდის დიდი მანძილი არ გვეჩვენა, რადგანაც მალე მივედით. აქაც მოგვეგება ყმაწვილკაცობა, ჩამოვხდით «ალიანის სასტუმროში» ბულვარის ბოლოზე, რიონის პირდაპირ, სადაც მაშინ გემები დგებოდა, რადგანაც ეხლანდელი ნავთსადგური ჯერ მზად არ იყო. ეხლა აღარც ის

გემები არის, რომლებიც მაშინ იყვნენ. ეს იყო ჩვენ დროს სამი პატარა ორთქ-  
მავალი გემი, რომლებიც რიონში შემოდოდნენ ზღვიდან სამი ვერსის მანძილზე.  
ესენი დადიოდნენ მარტო ბათუმსა და ფოთს შუა. იმათ ერქვათ «ბაბუშკა»,  
«დედუშკა» და «რიონი». ეხლა ყველა იმათ თქვენი ჭირი წაიღეს. დავბინავდით  
რიონის პირზედ სასტუმროში. გათენდა დილა და მივაწყდით რიონის ნაპირს,  
სადაც ბათუმიდან მოსულიყო ხალხით სავსე «ბაბუშკა». რა ჯურის და ტომის  
ხალხს არ ნახავდით მაშინ ფოთში! ეხლაც ხომ ათასი გვარი ხალხი ირევა ფოთში,  
მაგრამ მაშინ მეტისმეტი რამ იყო: ფრანგები (იმათ მაშინ მშვენიერი სასტუმროცა  
ჰქონდათ თავიანთი – «ჟაკოს» სასტუმრო), ინგლისელები, ბერძნები, ოსმალები,  
არაბები, იტალიელები და ვინ იცის კიდევ რამდენი ვინმე. ჩვენ იმათ  
გულმოდგინეთ ვმინჯავდით. ჩვენი ქალები ხომ განცვიფრებაში მოვიდნენ ზღვისა  
და გემების ნახვით. რიონი და ზღვა იმათ ჯერ არ ენახათ და გეოგრაფიაზედაც  
მწყრალად ბრძანდებოდნენ. რიონი ზღვის შესართავში ხომ უზარმაზარია და  
მიმდინარეობა თითქმის არც კი ეტყობა; დაინახეს თუ არა რიონი ჩვენმა ქალებმა,  
საშინლად გაუკვირდათ – რამოდენა ყოფილა შავი ზღვაო! ჩვენ ავუხსენით, რომ ეს  
შავი ზღვა კი არ არის, მდინარე რიონია, და აგერ იქ, შორს, ცა რომ გგონიათ, ზღვა  
ის არისო. ერთმა კიდევ აიჩემა და წამდაუწუმ ამას იძახდა: «ქა გენაცვალეთ, ეს  
რამოდენა მტკვარი ყოფილა აქაო», – ახა ღმერთო ჩემო!..

წარმოდგენებისათვის მოვამზადეთ ქალაქის სკოლის დარბაზი, რომელიც  
დაგვითმო მაშინდელმა სკოლის ზედამხედველმა პატივცემულმა გ ი ო რ გ ი ლ ო  
ლ ო ბ ე რ ი ძ ე მ, ამ შენობაში დავიწყეთ წარმოდგენები; ხალხი იქაც ბუზივით  
დაგვეხვია. აქაც გამოგვიჩინდნენ ძვირფასი პატრონები და გულშემატკვირები. ესენი  
ბძანდებოდნენ თავ. ჯ ა მ ბ ა კ უ რ გ უ რ ი ე ლ ი თავის ძვირფასის მეუღლით –  
კნენა ე ლ ე ო ნ ო რ ა თ ი, რომელნიც მაშინ ფოთში სცხოვრობდნენ და რომელნიც  
ქვეშარიტ მშობლიურს თვალს არ გვაშორებდნენ, ვიდრე ჩვენ ფოთში ვიყავით. ამ  
ხანად იქ მარტო სამი წარმოდგენა გავმართეთ. აქაც იგივე სიამოვნება და დროს  
გატარება, ეტლებით სეირნობა ფოთის მშვენიერ ქუჩებზედ... რამდენჯერ  
გვინატრია: «აჰ, ნეტავი ეს მშვენიერი ქუჩები ტფილისსა ჰქონდეს». მართლა და  
ფოთისთანა ფართო, სწორე და გრძელი ქუჩები ბევრ მდიდარს და შემკულ ქალაქს  
ენატრება. ფოთის ტევრი ხომ (აი «პარკს» რომ ეძახიან) ყოველი ქალაქისათვის  
საუნჯე და ძვირფასი განძია. აი, ამ ტევრში მწვანეზედ, დიდებული ხეების ჩრდილ  
ქვეშ, პალიასტომის ნაპირას, თავადმა ჯ ა მ ბ ა კ უ რ მ ა გაგვიმართა მართლა  
დიდებული ნადიმი გურულ გემოვნებაზედ – სიმღერებით და ცეკვით, რომელსაც  
ასრულებდნენ თავადის თანამხლებელნი – გურულები. ამ დახვედრამ სულ  
მოგვაჯადოვა; სულ სხვა ხალხს ვხედავდით. თუმცა იმავე გულითად ქართველებს,  
ენაწყლიანს, მკვირცხლს, მოსწრებული სიტყვის პატრონს, მეტის-მეტად  
ზრდილობიანს და თავაზიანს, ეს იყო გურულები, რომელთა შორისაც დროს  
გატარებაში გამოუთქმელს სიამოვნებასა ვგრძნობდით. საჭმელებიც კი სულ  
სხვანაირად გვეჩვენა, სულ სხვანაირად შეზავებული იყო; იგივე წვნიანი და  
შემწვრები, რომლებსაც ასე ხელოვნურად ამზადებენ იმერეთში, აქ სულ სხვა  
გემოსი გვეჩვენა (რასაკვირველია, სასიამოვნო). ეს ჩვენთვის პირველი და მასთან  
გაუგებარი გემოვნება, მგონია, ოსმალეთის მეზობლობას ნიშნავდა, მართლა და  
ბოლოს ქართველ-თათრების ოჯახებში იგივე საჭმელები ვნახეთ, რაც გურიაშია  
ხმარებული. ასე რომ, ეტყობათ, ბედშავ ქართველ თათრებს ოსმალებმა  
ქრისტიანობა კი მიატოვებინეს, მაგრამ საჭმელები მაინც გურული დარჩათ.

სადილის დასასრულს თავადმა უბძანა ბიჭებს ახალი სუფრა გაეშალათ რამდენიმე ნავით შეკრულს ტივზედ, რომელსაც გვერდებზედ ოთხი ნავი ება მარჯაფათ პალეოსტომში. მიგვიწვიეს, პალეოსტომი ტბა არის. როგორც გადმოცემა ამბობს, ვითომ ამ ალაგას ქალაქი ყოფილა, იგი შთანთქმულა და მისი ალაგი დაუჭერია შავი ზღვიდან შემოსულ წყალს. მივედით და... აქ კი ცოტა უკაცრაოდ, არამც თუ ჩვენ ქალებს, ჩვენც, «გეოგრაფიის მცოდნეთ», ნამდვილად შავი ზღვა გვეგონა ეს «უძირო» და «უნაპირო» ტბა. ნაპირზედ კი მივედით, მაგრამ ტივზედ როგორღა გადავიდეთ, მარტო ერთი სქელი ფიცარია გადებული! გურულები კაჰკაჰივით გვერდ-გვერდ გახტებიან და გამოხტებიან ამ ფიცარზედ და თან გვეწვევიან: «მობძანდით, ბატონო, შენი ჭირიმე».

– ყმაწვილო, როგორ მოვბძანდე, რომ რაკი ფიცარზედ შევდგები, თვალები ამიჭრელდება და წყალში ჩავარდები?

– უი, დედა! ღმერთო, მომკალ! მერე ვინ მიგაკარებს წყალს? მიბძანდი! – გვტაცებდნენ ხელს და ფრენით გადაგვიყვანდნენ ტივზედ. თქვენი მტერი, რომ ჩვენ ბურძგლები აგვეშალა და სტოლს დავებლაუჭეთ, რომ არ გადავცვივნილიყავით ამ ვეშაპ ტბის უფსკრულში. მასპინძელმა ეს შეგვნიშნა, გაეცინა და მომღერლებს უბძანა გარს შემოგვრტყემოდენ. მოუსვეს ნიჩგები, და დაიძრა ჩვენი ტივი, საიდგანაც ჰაერში გაიზრიალა სევდიანმა და საყვედურით სავსე კრიალა სიმღერამ «ალი-ფაშამ გვიღალატა», – გავსწიეთ ტბის შუა გულისკენ. ტივს ორსავე მხარეს მოსდევდა ოთხი ნავი ორ-ორი მარჯვე გურულით თითოში... მაგრამ რა მარჯვე! რომელი გურული არ არის მარჯვე! გავიარეთ ორი ვერსი და გავჩერდით. ტბა ძალიან მშვიდი იყო, არა ღელავდა, თორემ ღელვის დროს ზღვაზედ დარბაისელი არ არის, და ჩვენს ნავებს, როგორც კაკლის ნაჭუჭებს, გააფრენდა ჰაერში. იმ ადგილს, სადაც ჩვენი ტივი გაჩერდა, წყლის სიღრმე იყო, როგორც გვითხრეს, ორმოც საყენამდის. გაჩაღდა ახალი სუფრა, ხელახლად გამხიარულდა ყველა და შორს გაისმა ტურფა მედიდური გურული სიმღერა. კარგათ მახსოვს, რომ მე და ერთმა გურულმა აზნაურიშვილმა, რომელიც თავადს ახლდა, დავიწყეთ კერძო საუბარი. მე გამოვკითხე, რა თევზი იცის ამ წყალში, ან თუ ბევრს იჭერენ და სხვანი. იმან მიპასუხა, რომ ყოველნაირი თევზი იცისო, და ზოგი იმისთანა უბედური, უშველებელი თევზი, რომ კამბეჩებს იტაცებსო. ამის გაგონებაზედ მე, ცოტა არ იყოს, ექვის თვალით შევხედე. გურული უცბად მიმიხვდა და ჩვეულებრივ გადაკვრით მითხრა: «შე დალოცვილო, მე ხომ წასული საუკუნის ამბავს არ ვიამბობ, რასაც მოგახსენებთ, ეხლახან, ჩვენს დროში მოხდაო». მე რა ნება მქონდა, რომ არ დამეჯერებინა და გულმოდგინეთ დაუგდე ყური.

– მწყემსები მორეკავენ ხოლმე მინდვრიდან კამბეჩებს და ჩაჰყრიან წყალში საბანებლად იქვე ნაპირას, ჩვენ რომ წამოვედით. ამ წინაზედ მოერეკათ კამბეჩები და ჩაეყარათ წყალში. თითონ ბიჭები ტყეში შესულიყვნენ მოსასვენებლად. ამ დროს მოესმათ მათ საზარელი ბლუილი კამბეჩისა, მწყემსებმა ძალიან კარგათ იციან პირუტყვების ენა და ამიტომ თავზარ დაცემული ყველა ზეზე წამოცვივდა და მიაშურეს ტბას. უცბად შენიშნეს კამბეჩი, რომელიც წასულიყო შუა გულისკენ, მოშორებოდა ამხანაგებს. შენიშნეს, რომ ეს კამბეჩი ამოჰყოფს თავს წყლიდან, საზარლად შედრიალებს, რაც ძალი და ღონე აქვს, წყალს ებრძვის, მოცურავს, მაგრამ თითქო უკანა ფეხზედ ვიღაც ებლაუჭება და უკან ეწევა, ისევ ჩაჰყოფს წყალში თავს. ბიჭებმა რა დაინახეს, მაშინვე მიხვდნენ, რაც ამბავი არისო (წინაც ყოფილა ასეთი შემთხვევები) და მისცვივდნენ იქვე ნაპირზედ მიბმულს

მეთევზეების ნავებს. აი ეს ჩვენი ნავები სულ მუდამ წყალში უბიათ თავის ბაზრებით (თოკებით). ათი თუ რვა მარჯვე ბიჭი ჩაცვივდნენ ორს ნავში და მიაშურეს კამბეჩისაკენ. იმ საბრალომ ხალხი რომ დაინახა, უარესი ღრიალი მორთო. მიუახლოვდნენ თუ არა, რქებზედ გადააგდეს თოკი და მსწრაფლად მოუსვეს ნაპირისაკენ. რა ძალა უნდა ჰქონოდა იმ წყეულს თევზს: რვა თუ ათი ვაჟკაცი და თითონ კამბეჩი აქეთ ეწევიან, ის წყეული კი მარტო იქით. როგორც იყო, მოვიდნენ ნაპირზედ, ასე რომ კამბეჩმა წინა ფეხები კიდევ დააბიჯა მიწაზედ, თევზი კიდევ თავს არ ანებებდა. უცბად ბიჭებმა დაინახეს საშინელი თავი ღლავისა (ლოქოსი), რომელსაც პირში ედვა მთლად კამბეჩის უკანა ფეხი. ერთმა მწყემსმა ნიჩაბიც ესროლა თურმე თავში: მხოლოდ მაშინ ამ ხმაურობაზედ მიატოვა კამბეჩი და შეცურდა წყალში. საბრალო კამბეჩს ისე ჰქონდა დაღრღნილი და გადატყავებული ფეხი, როგორც გინახავთ მგლისაგან დაგლეჯილი საქონელი.

ეს არაკი ბევრს გაუზიარე იმ მხარეში, მაგრამ არავის არ გაუკვირდა, ბევრი მარწმუნებდა კიდევ ამ ამბის სიმართლეში. სოხუმშიაც მოხდა თურმე ამისთანა შემთხვევა მდ. ინგურზე, ზღვის შესართავთან. იქ კი თურმე ვერ გადაარჩინეს საბრალო კამბეჩი, რადგანაც თევზმა ზღვაში შეიტაცა. აი, თურმე ამისთანა მტაცებელი ლოქოები ბუდობენ პალიასტომში.

სადამოს ჟამმაც მოატანა და ჩვენი მოძრავი მხიარული სუფრაც დაიდრა ნაპირისაკენ კვლავ სიმღერით, აღტაცებულის ყიჟინით და დამბაჩემის სროლით. ჩვენს აღტაცებას, ამ ჩვენთვის არა ჩვეულებრივი დროს გატარების გამო, საზღვარი არა ჰქონდა. რა იყო მიზეზი საზოგადოების ასე გატაცებისა და დახვედრისა? რითი ვიყავით პირადათ ჩვენ გამოჩენილნი, რომ ამდენი პატივის ცემის ღირსი შევიქნით? ვის რა ღვაწლი მიგვიძლოდა საზოგადოების წინაშე? არაფრისაგან არაფერი. ეს იყო მხოლოდ ქართული გულის ძგერა, მისი უტყუარი და ღრმა გრძნობათა გამოთქმა იმ დიადი საზოგადო საქმის დაწყების გამო, რომლის წინ წაყვანაც ჩვენა გვექონდა ნაკისრი, როგორც წინადაც მოგახსენეთ. არა ნაკლებ ნადიმი გაგვიმართა პატივცემულმა ი ვ ა ნ ე ჯ ა ლ ა ლ ო ვ მ ა, რომელიც მაშინ თვალსაჩინი იჯარადარი იყო და შემდეგ ქალაქის თავის თანაშემწე. ეს უცხო ტომის კაცი ქართველებზედ არა ნაკლებ თანაგვიგრძნობდა ჩვენს საქმეში.

ფოთიდან გასვლის ორი დღის წინად ბათუმში გავისტუმრეთ ჩვენი ადმინისტრატორი ჩუბინაშვილი და, კარგათ არ მახსოვს, მგონია, კოტე ყიფიანი მთელი ჩვენის ბარგით სცენის მოსაწყობად. ამავე დღეებში მოგვმორდა ვასო აბაშიძე, რომელსაც ტფილისიდან დეპუტა მოუვიდა მამის მძიმე ავადმყოფობის გამო. ცხადია, რომ ვასო ჩვენი პატარა წრისათვის დიდი დანაკლისი იქნებოდა. იმისი როლების მოთამაშე ეხლაც არავინ არის და მაშინ ხომ ვინ გვეყოლებოდა? ზოგიერთ აბაშიძის როლს, მაგ. ზიმზიმოვს, შემდეგ მოგზაურობაში გ ი გ ო ყ ი ფ შ ი ძ ე თამაშობდა. საზოგადოდ კი ყიფშიძეს თანამდებობა სუფლიორობა იყო, რაშიაც დიდი უნარი გამოიჩინა. მხოლოდ არტისტებს ესმით, რა მნიშვნელობა აქვს კარგს სუფლიორს თეატრში.

დამავიწყდა, თავის დროზე მეთქვა, რომ ქუთაისიდან წამოგვყვა კოტე მესხი, რომელიც ძალიან გამოგვადგა მოგზაურობაში, მეტადრე მაშინ, როდესაც ვასო აბაშიძე დაგვაკლდა. ბათუმიდან გვაცნობეს, რომ სცენა მზად არის და გველიან. გამოვეთხოვეთ ყველას, სასტუმროში გავუსწორდით და მოვემზადეთ სამგზავროთ, მაგრამ ეხლა სულ სხვანაირი მგზავრობა მოგველოდა – ზღვით. გულის ფანცქალით ვუახლოვდებოდით გემს. ესეთი მგზავრობა, ერთიორის

გარდა, არავის არ გამოეცადა, მეტადრე ქალებს და ყველა შიშით ელოდა გაგონილ ზღვის ავადმყოფობას.

#### 4

დილით ათ საათზე აბარებულები, მივედით პატარა ნავთსადგურთან, სადაც გაკრიალებული კოხტა ორთქმავალი – გემი «ბაბუშკა» იდგა და ოშხივარი ასდიოდა, რადგანაც წასასვლელად ემზადებოდა. ავიღეთ ბილეთები და ავედით გემზე. ჩვენ იმისთანა ბილეთები ავიღეთ, რომლებშიაც საჭმლის ფულსაც ანგარიშობენ. დავუწყეთ გემს შინჯვა-თვალიერება; გემის უფროსი დიდის ზრდილობით გაგვიძვრა წინ და ყველაფერი დაწვრილებით გვაჩვენა და აგვიხსნა. მშვენივრად მორთული პატარა ოთახი (კაიუტი), სასადილო ოთახი, ქალების და კაცების ცალკე განყოფილებანი, მანქანები, რომელიც გემს ამოძრავებს და სხ.; ჩვენ აღტაცებაში მოვედით ამ წესრიგის და საოცარი სისუფთავის გამო. ამაზე უმშვენიერესი აღარა გვეგონა-რა; მაგრამ შემდეგ, როდესაც ვნახეთ დიდი გემები რუსული, ფრანგული და ინგლისური, ეს უზარმაზარი ქარვასლები სამ-სამი სართულით, მაშინ კი სულ დაგვავიწყდა ჩვენი განსვენებული «ბაბუშკა».

ეს ბორბლიანი გემი იყო. ქალაქში წისქვილებს დიდი ბორბლები რომ აქვს, ორი იმისთანა ბორბალი ჰქონდა «ბაბუშკას» აქეთ-იქით შუა გულზედ. ამ ბორბლებს მანქანა ამოძრავებდა და პატარა გემი სწრაფად გარბოდა ზღვაში. ეხლა ბორბლიანი გემები სულ აღარ არის ხმარებაში და ან თუ არის, ისიც ნავთსადგურებში სამუშაოდ. ეხლა დიდებული «ქახრაკიანი» გემებია და საოცრად მსწრაფლმავალნი.

მესამედ დაიწყვილა მანქანამ და უცბად გადატრიალდნენ ბორბლები, წყალი ადუღდა, აქაფდა, და ნელ-ნელა მოვმორდით ნაპირს. ამ პირველ დაძვრაზე ისეთი რაღაც ვიგრძენით, თითქოს გული გვეფერებოდა. ბევრი მაშინ სიამოვნებით გადმოხტებოდა ნაპირზე, მაგრამ ეხლა ვილა გაგვიშვებდა. შედრკნენ ჩვენი ქალებიც და მოაყოლეს, რაც-კი ლოცვები იცოდნენ. მთელ გემზე საზოგადო გულმხურვალე ლოცვა და ღვთისადმი ღაღადი მოისმა. მალე რიონმა ზღვას ჩააბარა ჩვენი პატარა გემი. ეს კი სულ სხვა სანახავი იყო: დაუსრულებელი წყლის სივრცე და შორს, სადღაც ცის დასავალში წყალი და ცა შეერთებული. მარცხნივ კიდევ ვარჩევდით წყლის ნაპირს, მაგრამ ეს უფრო მოშავო ღრუბლებს გვანდა, ვიდრე ხმელეთს. ამ გვარად ზევით ცას შევსცქეროდით და ფეხ-ქვეშ წყალსა. მშვენიერი დარი დაგვიდგა, და კაი დარში ზღვაში მოგზაურობაზე უსიამესი არაფერი არ არის. მივსრიალებდით დინჯათ, შეურყევლად ამ კამკამ ლურჯ წყალში. თვალი შეეჩვია წყალს, გულს კაეშანი გადაეყარა და თანდათან თავისუფლად სუნთქვა დავიწყეთ... ენაც ამოვიდგით და კვალად ავტეხეთ ჟივილ-ხივილი და ტკბილი საუბარი. ავედით მაღლა, უფროსის ბინაზე, და იქიდან გადავყურებდით, როგორ ხტუნაობით და ყირა-ყირა გადასვლით მოსდევდნენ ჩვენს გემს ზღვის ღორები (დელფინები). კაი დარში მთელი ჯოგები ირევა ამ ღორებისა; ამოხტებიან წყლიდან, გადაკოტრიალდებიან ჰაერში და კვალად ჩაცვივიან წყალში. ჩვენ ძალიან ვმხიარულებდით ამ თამაშით, ხან პურის ნატეხებს ვესროდით გემიდან, ხან პაპიროსის კოლოფებს და ხან რას. ბავშვებით გვიხაროდა და ვხარხარებდით.

დანიშნულ დროს მიგვიწვიეს ჯერ საუზმეზე და მერე სადილზე. ჩვენ გაგვაოცა საჭმელების სიუხვემ: საუზმეთ ოთხი-ხუთი თავი საჭმელი და სადილად რვა თავი. სასმელები როგორიც და რამდენიც გვნებავდა: ღვინო, ლუდი, არაყი, კონიაკი, ყავა... ფოთიდან ბათუმამდის სულ ჭამაში ვიყავით, მაგრამ რა საჭმელები და

როგორ მომზადებული, მეტადრე ათასგვარი თევზეულობა! გემის უფროსი ჩვენთან სადილობდა, გვთავაზობდა და თან შეგვნიშნავდა, რომ ძალიან კარგია, ვისაც ზღვაში ჭამის მადა კარგი აქვსო. სასმელები ხომ რა სათქმელია; რომ იტყვიან, ოხრად იყო, მაშინ იმისთანა დრო იყო, რომ საზღვარგარეთური სასმელები ჩალის ფასად ღირდა: პირველი ხარისხის კონიაკი, ეხლა თორმეტი მანეთი ღირს, მაშინ 1 მ. და 50 კაპ. ღირდა. საუკეთესო შამპანიური 2 მ. და 50 კაპ. არ ასცილდებოდა.

მიუახლოვდით ბათუმს, გავუარეთ თამარის ციხეს და ნეტარებით დავუწყეთ ცქერა. გულის წარმტაცია ბათუმის ეს მიდამოები თავისი ბუნებრივი სიდიადით: შევედით ნავთ-სადგურში და ჩვენ გემს ჭიანჭველებივით შემოეხვია პატარა ნავეები (ფელიუგები), თავის მარჯვე პატარა თათრის და არაბის ბიჭებით. ეს პატარა ნავეები ისე მარდათ დაძვრებოდნენ გემებ შუა და ჭყუმპალაობდნენ წყალში, როგორც იხვეები. კანკალით ჩამოვედით გემის საქანაო კიბეზე, ჩამოგვიზიდეს ბარგი და ჩაუსხედით პატარა თათრებს ნავეებში, რომლებმაც უცბად მოგვიტაცეს და ნაპირზე გამოგვიყვანეს. აქ აუარებელი ხალხი დაგვხვდა საზოგადოთ და კერძოთ ჩვენი მომლოდინენი. ბათუმი ახალი აღებული იყო, მინგრეული-მონგრეული სახლის კედლები ჯერ კიდევ თოფისა და ყუმბარის ტყვიით მოჭედილები და დახვრეტილები. მაშინდელი ბათუმი ეხლანდელ ჩვენ ქალაქის აბანოების უბანს და აშპაშხანას მოგაგონებდათ თავის რამდენიმე მინარეთით, თუმცა, რამდენიმე ევროპიული სასტუმროც მოიპოვებოდა რიგიანად მოწყობილი, მეტადრე ფრანგული სასტუმრო «ფრანცია». მაგრამ სიცოცხლით კი სდულდა, ეს ნაოსმალეთარი ქალაქი: ვაჭრობა გაცხარებული იყო, ყავახანები და ლუდხანები ხალხით სავსე, მოძრაობა დიდი, გახურებული მუშაობა ახალ შენობებზე, ნავთსადგური რუსის და უცხოელ გემებით მთლად გაჭედილი... შორით \_ ზღვა მოფენილი მომავალი და მიმავალი თეთრი იალქნიანი გემებით და ბარკასებით (დიდი ნავეებია საქონლის საზიდავი), და ყველა ეს ამ ანკარა ზღვაში მიცურ-მოცურავენ, როგორც თეთრი გედები. თვალს ვერ მოაშორებდა კაცი ამ სანახაობას. გასართობი, ღვთის წყალობა გაქვთ, ბევრი რამ იყო, მაგრამ ჩვენ ჯერ საქმეზე უნდა გვეფიქრა. ჩამოვხტით ზღვის პირას ერთ სასტუმროში, დამოჟნის პირდაპირ; ამ სასტუმროს, მგონია, «როსია» ერქვა და ერთ დიდს ორ სართულიან აზიურ სახლში მიწურის ბანით იყო მოთავსებული. ეხლა იქ უპირველესი ევროპიული სახლებია გადაჭიმული. საზოგადოთ მაშინდელი ბათუმი ისევე ჰგავს ახლანდელს, როგორც მცხეთა თბილისს. ყველას კარგათ მოგეხსენებათ, რომ ბათუმი ასე აშენდა და გაიზარდა მისი ძვირფასი მდებარეობის და დიდებული ბუნებრივი ნავთ-სადგურის წყალობით. მალე, მისვლისთანავე, ჩვენთან მოიყარა თავი ქართველმა საზოგადოებამ. ესენი ბძანდებოდნენ რამდენიმე ქართველი მოსახლე ოჯახობა, სხვა და სხვა სამსახურის მოხელენი და ქართველი აფიცრობა. იმ ჟამად ბათუმში რამდენიმე ქართველიც ვაჭრობდა. ქართველ ოჯახებში მაშინ ბათუმში მეთაურობდა პატივცემული დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ჟ უ რ უ ლ ი ს ოჯახი; ბ. დურმიშხანი ბათუმის პოლიციის უფროსი ბძანდებოდა და, მაშასადამე, ადმინისტრაციის წარმომადგენელთა შორის გავლენიანი პირი იყო, ბათუმში ეს პატიოსანი ოჯახი აღმოგვიჩნდა მუქთა სასტუმროდ: სადილ-ვახშამი ამ ოჯახში ჩვენთვის ყოველთვის მზად იყო, და რაც შეეხებოდა ჩვენი სცენის საჭიროებას, დარბაისელი ქ ე თ ე ვ ა ნ ჟ უ რ უ ლ ი ს ა არაფერს არ ჰზოგავდა დასახმარებლად. ჩვენი საქმე გაჩარხული იყო: წარმოდგენისათვის ზალაც მოვაწყეთ, ბილეთებს



იტაცებდნენ, ქართველი საზოგადოების გარდა, უცხოელებიც, მეტადრე ქართველი მაჰმადიანებიც ბევრი დადიოდა, მხოლოდ... დახე კიდეც ჩვენ უშნობას და მოუფიქრებლობას: ბათუმში სტამბა არ იყო (ან რისთვის იქნებოდა), და ჩვენ კი დაგვაიწყდა ქუთაისიდან დაბეჭდილი აფიშები წაგველო. არავის არ მოაგონდა, ვერავინ ვერ მოვისაზრეთ, რომ ბათუმში, ახლად აღებულ ოსმალოს ქალაქში, ასე მალე ქართულ-რუსული სტამბა არ იქნებოდა! ხელთნაწერი აფიშები რამდენი უნდა დაგვემზადებინა, რომ მთელ ქალაქს გასწვდომოდა და ან რა თვალსაჩინო იქნებოდა ხელთ-ნაწერი აფიშა? შემდეგ ურთი-ერთ შორის თათბირისა, შემდეგი გამოვიგონეთ: ბათუმში დღესაც, ზაფხულობით, ქუჩა-ქუჩა დააქვთ ხოლმე ცივი წყაროს წყალი კოკებით ხის ფოთლებში გახვეული, ამას ეძახიან სოუხ-სუს. წყლის დამტარებელი დადის და ჰყვირის «სოუხ-სუს!» დავწერეთ რამდენიმე აფიშა სხვილის ხელით და ამ წყლის დამტარებლებს ზურგზე დავაკარით და თანაც დავარიგეთ, რაც უნდა ეყვირათ ქუჩაში. დადიოდნენ ეს ქართველი თათრები და დაზეპირებულ სიტყვებს გაჰკვიოდნენ: «დღეს თრიათში ქაართული თრიათრიააა. თამაშობენ: საფაროვი, გაბუუნია, ყიფიაანი» და სხვა ამ გვარად. ხშირად ჩვენი ქალები ჩემზე ადრე რად ამბობსო, ჩამოუცვიოდნენ ამ საბრალოებს სასტუმროდან ქუჩაში, შეაჩერებდნენ და ეუბნებოდნენ: წინად გაბუნია ან საფაროვი სთქვიო და აი შენი გასამჯელო ერთი აბაზიო... ჩვენ, კაცები, ვსწყებოდით სიცილით თათრებისაგან ჩვენი არტისტი ქალების დამახინჯებული გვარების ყვირილზედ; მით უმეტეს, თეატრში ჰქედვა არ იყო. ბათუმში სამი წარმოდგენა გავმართეთ; სამჯერვე თეატრი სამსე იყო ხალხით. საჩუქრები ბევრი მოსდიოდათ ჩვენ არტისტ ქალებს; გაბუნიას ქალს დღესაცა აქვს მაშინდელი რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი.

პროვინციაში ხშირად გვშველოდნენ ხოლმე სცენის მოყვარულნი. რომ დაგვჭირდებოდა, მეტი რა ჩარა გვქონდა, მოვიწვევდით ხოლმე ამა თუ იმ კაცსა ან ქალსა, რომლებიც დიდის სიამოვნებით გვეხმარებოდნენ. ბათუმშიაც დაგვჭირდა პატარა ქალის როლის მოთამაშე. ბევრი არ გვიფიქრია და უცბათ გამოვსძებნეთ... დღევანდელი ჩვენი პატივცემული ცენზორი გ ი ო რ გ ი ჟ უ რ უ ლ ი, პირველი კლასის კადეტი, რომელიც გამოვიყვანეთ პატარა გოგოს როლში, მოკლე და არშიებით მორთულ ქალის ტანისამოსით. ქალში ვერ გამოარჩევდა კაცი, ისე უხდებოდა ეს დედათა სამოსელი და მშვენივრადაც შეასრულა თავისი როლი. ერთი მოხერხებული ეშმაკობაც ჩაიდინა ამ ყმაწვილმა გიორგი ჟურულმა. იგი დიდი მოტრფიალე იყო (მგონია, დღესაც ისევე მოტრფიალეა) თეატრისა და თაყვანის მცემელი არტისტებისა. ნახა, რომ საზოგადოება საჩუქრებს აძლევს წარჩინებულ არტისტებს, თითონაც მოუნდომია საჩუქარი მიართვას გაბუნიას ქალს. წასულა საქალაქო ბაღში და მეზალისათვის უთქვამს: «მამამ \_ კარგი თაიგული გამიკეთე და გამომიგზავნეო». აბა, მეზალეც როგორ არ გაუკეთებდა, რა დაინახა პოლიციის უფროსის შვილი! გაუკეთა მშვენიერი თაიგული და მიართვა. გიორგიმ გამოართვა თაიგული და დაფიქრდა: «ამას ხომ «ლენტი» უნდაო». წავიდა მაღაზიაში, აარჩია საუკეთესო ლენტი, 20-25 მანეთი დაუფასეს. ვინ მისცა პირველი კლასის შეგირდს ეს ფული! დედმამას ვერა სთხოვს ამ ფულს და, მაშ, რა ქნას, ხომ გაუცრუვდა «კავალრობა»! როგორ მიართვას ცარიელი თაიგული ულენტოდ?! იფიქრა, იფიქრა და მოვიდა ჩვენთან სასტუმროში, გაბუნიას ქალთან: «ნატო, დედამა \_ დღეს ქართულ წარმოდგენაზე უნდა მოვიდე ნამდვილი ქართული ტანისამოსითაო და რომელი საუკეთესო სარტყელიცა გქონდეს, გამომიგზავნეო».

– გულის პირი ხომ არ უნდა? – ჰკითხა გაბუნიას ქალმა.

– არა, გულის პირი აქვს, მარტო სარტყელი უნდა, – მიუგო იმან. ადგა და რომელიც საუკეთესო სარტყელი ჰქონდა, გაუგზავნა. დაიწყო წარმოდგენა, საჩუქრები ბევრი მიიღეს არტისტებმა და, სხვათა შორის, გაბუნიას ქალს მიაღწევს მშვენიერი თაიგული ძვირფასი «ლენტი» გადახვეული. გათავდა წარმოდგენა, გაბუნიას ქალმა გაფაციცებით დაუწყო შინჯვა ძვირფას საჩუქრებს, განსაკუთრებით თაიგულის სარტყელს და... პირს კატა ეცა: თავისი საკუთარი სარტყელი იყო. ამ გვარად ითვალთმაცა პატარა გიორგიმ და საზოგადოებას დაანახვა, რომ ძვირფასი საჩუქარი მიაღწევა არტისტ ქალს.

მაშინდელი ჩვენი დროს გატარება ბათუმში სწორედ დაუვიწყარია. ქართველი აფიცრობა ყოველ დღე კავალკადას გვიმართავდა; გამოგვიგზავნიდნენ საუკეთესო ცხენებს, შევსხდებოდით ქალი და კაცი და გავსწევდით თამარის ციხისკენ და «გოროდოკში», სადაც ყოველთვის მშვენიერი საუზმე გველოდა. «გოროდოკი» რუსების ახალშენი იყო და მაშინ იქ სულ რუსები ცხოვრობდნენ. იმ დროს გაცხარებული მუშაობა იყო ბათუმის ახლო-მახლო მთებზედ, სადაც საარტილერიო სიმაგრეებს აშენებდნენ. სწორედ საგულისხმო იყო ამ ხელოვნური სიმაგრეების დათვალიერება, რომელთაც ესეთი დიდი მნიშვნელობა აქვთ ომის დროს.

გავიცანით აგრეთვე და დაუახლოვდით ქართველ ბეგებს, რომელთაც ძალიან მოვსწონდით და სიამაყით მოგვითხრობდნენ თავის შთამომავლობის და მამა-პაპის გათათრების ამბავს. ხშირად მიგვიწვევდნენ ყავაზედ (მაშინ იშვიათად თუ ვინმე სვამდა მაგარ სასმელებს; ეხლა კი იშვიათი თათარი არა სვამს), მოგვისხდებოდნენ გვერდით და დაგვიწყობდნენ ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალზედ ლაპარაკს: გამოგვკითხავდნენ ჩვენი ცხოვრების ავ-კარგს, სწავლა-მეცნიერების გავრცელებას საქართველოში, ეკონომიურ მდგომარეობას, პოლიტიკურ განწყობას და სხ. ლაპარაკობდნენ ძველი ქართულის ენით დინჯათ, კილო კი გურული ჰქონდათ; ლაპარაკი – ზრდილობიანი და თავაზიანი. ერთი დარბაისელი ბეგი იყო, გვარი არ მახსოვს, ხიმშიაშვილი, თავდგირიძე თუ აბაშიძე. იმან გვითხრა ერთხელ: «ყმაწვილებო, ძალიან მიხარია, რომ კარგ ქართველებს გიყურებთ, მაგონდება ჩვენი წინაპრები, ჩვენი ერთი რჯული, მაგრამ ეს კი ძალიან არ მომწონს, რომ თავზედ ქუდის მაგივრად ღორის ტუჩი გადევთო!» ჩვენ საზაფხულო «კარტუზები» გვებურა. «თქვენი ღვთის გულისათვის, – განაგრძო იმან, – გადაყარეთ ეგ ღორის ტუჩები და მე უკეთეს ქუდებს დაგხურავთო». ყველას დაგვებურა ძვირფასი წითელი ფესები. ამ ფესებს ჰქვია «სულთანის ფესა», რადგანაც უბრალო მამაკვდავისათვის ძალიან ძვირია ეს ფესა (8-9 მანეთი) და მხოლოდ წარჩინებული პირები და გვარიშვილები ხმარობენ. ჩვენ, რასაკვირველია, ხათრი არ გაუტეხეთ და ჩვენი თეთრი ქუდები იმისივე თვალწინ ზღვაში ვისროლეთ. ბეგის სიამოვნებას საზღვარი არა ჰქონდა. დავიხურეთ წითელი ფესები ქუთაისში შეკერილ ხალათებზედ და ამ მორთულობით რაღაც უცნაური კუნძულის მაცხოვრებლებს წარმოვადგენდით.

ღამე კიდევ თავისებური დროს გატარება გვქონდა. ჩავსხდებოდით რამდენიმე ნავში ჩვენი დასი მთლად და რამდენიმე თავმოყრილი ყმაწვილი კაცი, ერთ ნავს ხორაგით და სასმელებით აავსებდნენ და გავიდოდით ზღვაში 2-3 ვერსის მანძილზედ ლხინით, ქეიფით და სიმღერებით. სწორედ აუწერელია ეს სიამოვნება ამ კაშკაშა მთვარიან ღამეში, მოკრიალებულ-მოწმენდილ და სხივოსანი ვარსკვ-

ლავებით მოჭედნილ ცის ქვეშ ზღვაში. ოჯახურ დროს გატარებასაც არ ვიყავით მოკლებულნი, როგორც ზევით მოგახსენებთ, ბ. დურმიშხან ჟურულის ოჯახი ხომ იყო და იყო ჩვენთვის მუქთი სასტუმრო, არც სხვა ოჯახებმა დაგვტოვეს უყურადღებოდ. ამ ოჯახებში პირველი ადგილი ეჭირა დიდათ პატივცემულ კოლკოვნიკ ბერსის ოჯახს. პოლკოვნიკი ბერსი იყო ქალაქის უფროსი (სჭვლჯყფხვკმყბრ), ცოლად ჰყვანდა სიმშვენიერით განთქმული აწ განსვენებული ტურფა ფატო, გურული ერისთავის ასული. ბ. ბერსი, საზოგადოდ დიდის ყურადღებით იყო ჩვენთან, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელი. ყოველ ჩვენს თხოვნას ამ მხრივ დაუყონებლივ შეასრულებდა ხოლმე. ეს პატიოსანი სახლობა ყველა ჩვენს წარმოდგენას ესწრობოდა და ორჯელ დიდი ნადიმიც გადაგვიხადეს. თითონ ბერსი და მისი ნარნარა მეუღლე სათითაოდ ჩამოგვივლიდნენ და მოწიწებით გვთხოვდნენ დიდს და პატარას პატივი გვეცა და სანადიმოდ მივსულიყავით იმათთან. თქმა მეტი იქნება, როგორც ისინი ჩვენ დაგვხვდებოდნენ და გაგვიმასპინძლებოდნენ ხოლმე.

ასე და ამ გვარად მოვიარეთ ბათუმი; ყველგან გულითადი დახვედრა, ყველგან გულწრფელი სიმპატია; თეატრი მუდამ სავსე და აღტაცებული სიამოვნება საზოგადოებისა. დროც მოგვივიდა დაბრუნებისა. ჯერ ერთი, რომ ორიოდე დაბა კიდევ დაგვრჩა სანახავი, და მეორეც, ადრე უნდა დავბრუნებულიყავით ქალაქში, დავბინავებულიყავით, დავლაგებულიყავით და დროზე გაგვეხსნა სამუდამო სცენა, ე. ი. მოგვეწყო სეზონი ენკენისთვიდან.

ერთ დილას ჩავიბარგეთ და გამოველით ნავთ-სადგურზე. გამომცილებელი აუარებელი გყვანდა. შემდეგ ჩვეულებრივის გამოთხოვებისა, ჩავსხედით ნავებში და გავსწიეთ ორთქმავლისკენ, რომელიც ნაპირიდან ორასი საჟენის მანძილზედ იდგა ზღვაში. უკან დაგვდევდნენ რამდენიმე ნავი ჩვენის ძვირფასის მასპინძლებით ჟივილ-ხივილით და მაღალი სიცილ-ხარხარით. ვის უშველებელ შამფურზედ აგებული შემწვარი ბატკანი და სუკები ეჭირა ბაირალივით, ვის დიდი დოქები (კოკები) ღვინითა, ვის ტაბლაკი სხვადასხვა საუზმით და უცხოელი სასმელებით. ამ ამბით მიველით გემის კიბესთან (ამ ხელათაც კიდევ ჩვენი ნაცნობი «ბაბუშკა» შეგვხვდა) და გავაკეთეთ წრე. დაიწყო ხელმეორედ გამოთხოვება და გზის დალოცვა და საზოგადო სადღეგრძელოები. ამ გაცილების მოთავენი იყვნენ განსაკუთრებით ქართველი აფიცრობა: სოლომონ აბდუ-შელი, თ. თ. ვაჩნაძეები, კორინთელი და სხვები, რომელნიც არ მახსოვს, და არც მას აქეთ შემხვედრიან. ერთი თხუთმეტი წუთი გავჩერდით გემის ძირში და სადღეგრძელოებით და სიმღერებით ვიჯერეთ გული. ბოლოს გემიდან მოგვცეს ნიშანი და ავცოცდით გემის კანკალა კიბეზედ. დაიძრა გემი და ჰაერი აივსო მაღალის ხმაურობითა, «ვაშას» ძახილით, ქუდების და ხელსახოცების ჰაერში ტრიალით ვშორდებოდით ერთმანეთს ჩვენ და ჩვენი ტკბილი მასპინძლები. დიდს მანძილზე მოგვდევდნენ უკან ჩვენი გამცილებლები... მაგრამ გემმა უცბად გაიფართხალა, გედივით გაიჩყუმპალავა და ჩვენი «ბაბუშკა» შეერია დაუსრულებელ ზღვის ტალღებში...

ცოტ-ცოტათი და მალე სრულიად თვალიდან მიგვეფარა ჩვენი ძვირფასი ხალხი.

ბათუმიდან ჩვეულებრივის სიამოვნებით დავბრუნდით ფოთში. მგონია, ფოთში ერთი წარმოდგენა კიდევ გავმართეთ, სწორედ არ მახსოვს, და ეს კი ნამდვილად მახსოვს, რომ გვთხოვეს წარმოდგენის გამართვა. ფოთში სადგურზე გავისტუმრეთ ჩვენი ბარგი და ქალები ეტლებით: ჩვენ კი, კაცები, რადგანაც დიდი დრო იყო მატარებლის წასვლამდის, ფეხით წამოვედით. თან მოგვდევდნენ მრავალი ყმაწვილ-კაცობა და აფიცრობა, რამაც ერთი გაუგებარი და სასაცილო საქმე გამოიწვია.

ფოთის დიდს რკინის ხიდზე რომ შევსდექით, ამ დროს ხიდს მოუახლოვდა ერთი პატარა გემი, რომელზედაც დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე ბრძანდებოდა. დიდი მთავარი მობძანებულიყო გემით რიონის ზღვასთან შესართავამდის და რადგანაც დიდ გემს რიონში შემოსვლა არ შეეძლო, გადამჯდარიყო პატარა გემში, რომელიც რკინის გზის სადგურის პირდაპირ ჩერდებოდა. ამის გამოისობით რკინის ხიდი გაიხსნებოდა ხოლმე ალაყაფის კარებივით, გემს გაატარებდა და ისევ დაიკეტებოდა – შეერთდებოდა. დღეს აღარ აღებენ ამ კარებს და ხიდი სამუდამოთ გაერთიანებულია, თუმცა, გასაღებ-დასაკეტი ჭახრაკები დღესაც ხელუხლებელია თავის ალაგას. ხიდი გაიხსნა და დიდი მთავრის გემმა გამოიარა; ჩვენ ხიდზედ ვიდექით და მოწიწებით სალამი მოვახსენეთ თათრულ ყაიდაზე – შუბლზე და გულზე ხელის დადებით (ფესის მოხდა არ შეიძლება). დიდმა მთავარმა რა შეგვნიშნა ლურჯი პერანგებით და ოსმალურ ფესებით, თურმე ტყვეები ვეგონეთ და თავის მხლებლებს ჰკითხა: «ამ ტყვეებს აქ რა უნდათ, აქამდის რად შეგინახავთ და ან სადა გზავნითო?» გუბერნატორმა თურმე ვერაფერი ვერ უპასუხა და ძალიან შეწუხდა; ამ დროს ერთმა მოხელემ მოახსენა: «თქვენო უმაღლესობავ, ესენი ტყვეები არ გახლავან, ქართული თეატრის მოგზაური არტისტები არიანო». დიდ მთავარს თურმე გაეცინა და სთქვა: «ეს რა უცნაურად აცვიათო». ეს გვიამბეს დიდი მთავრის თანხმლებ-მოხელეებმა რკინის გზის ფოთის სადგურზე. გემმა გაიარა, ხიდი კვლავ შეიკრა და ჩვენ სადგურისკენ გავემართეთ.

ფოთიდან პირდაპირ ხაშურში წამოვედით. აქ კოტე ყიფიანმა მიგვიწვია თავის სოფელ ქვიშხეთში, სადაც მაშინ ბძანდებოდა აწ განსვენებული დიმიტრი. ჩვენ, რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით ვეახელით ბატონ დიმიტრის. ვთქვით, რომ ერთი ორი დღე შევისვენებთ ქვიშხეთში და შემდეგ გავუდგებით გზას ბორჯომ-ახალციხე-აბასთუმნისაკენო. გავსწიეთ ქვიშხეთისკენ, მალე გავარჩიეთ სახლის აივანზე დინჯი და მტკიცე ნაბიჯით მოსიარულე წელში მოუხრელი ღვთაებრივი მოხუცი. დიმიტრი დიდის დურბინდით ხელში ჩვენს გზას გამოჰყურებდა. მივედით, გადმოვხტით ეტლებიდან; დიმიტრი მოგვეგება ჭიშკრის კარებში მოღიმარი, სიამოვნებით აღვსილი თვალებით. როგორც მოყვარულმა მამამ (ამ კეთილმშობლიურ გრძნობაში, როგორც მამამზილური სიყვარულია, ბევრს მოეხსენება, რომ დიმიტრის ვერავინ ვერ შეედრებოდა) გულში ჩაიკრა თავისი შვილი კოტე და შემდეგ ჩვენ ყველა, ქალი და კაცი, გაგვიხადა ამბორის ყოფის ღირსი. მიგვიწვიეს სახლში. ჩვენ აყრილი მაწანწალა ბოშებივით გათხუპნულ-გამტვერიანებული მოგვათავსეს ფართო ოთახებში, სადაც ტანთ-საცმელი გამოვიცვალეთ და გავსუფთავდით. გავიქეციტ წყაროზედ და ამ სიცხე-პაპანაქებაში ნამგზავრებს, მზისგან დამწვარ-დახრაკულებს ეს წყარო სწორედ «უკვდავების წყლად» გვეჩვენა. გავგრილდით, ცოტა ადამიანის ფერი დაგვედო,

მალე შევიკრიბენით ზალაში, სადაც დაგვიწყო გამოკითხვა დიდის ცნობის მოყვარეობით დიმიტრიმ: როგორ ვიმგზავრეთ, როგორ დაგვიხვდა ხალხი, ხომ არა გაგვჭირებია-რა, და როდესაც ჩვენ ვუამბეთ ხალხის აღტაცება და დიდებული დახვედრა ყველგან და უცხო ტომის ხალხისაგანაც-კი, განსვენებულის სიამოვნებამ ფრთა შეისხა და ფილოსოფიური აღტაცებით სთქვა: «ეს ასეც უნდა მომხდარიყო! საქმე დამწიფდა, ხალხმა შეიგნო საქმის ძალა». ჩვენი ნაამბობის გამო მეტად გამხიარულდა განსვენებული (და როდის არ იყო ის მხიარული თავის ოჯახში, ვისაც კი ახსოვს). საზოგადოთ დიმიტრის საუბარი ყოველთვის და ყოველგან, მეტადრე თავის ოჯახში, იმისი ქვეყნის ვარამი იყო, სხვა ნაღველი დიმიტრიმ არ იცოდა. საკუთარ საქმეებზე ძალიან ნაკლებ ფიქრობდა. ის იყო საქმის კაცი და არა სიტყვისა და ყველასგან ითხოვდა ამას. დაგვიწყებდა ბაასს ჩვენ, ბავშვებს, როგორც ამხანაგი, მეგობარი, სიყვარულით და ისე გაგვიტაცებდა, რომ საუბრის დროს ხშირად მუხლზედ ხელს დაგვკრამდით ხოლმე! დიმიტრი არა ჰგავდა დღევანდელ ცრუ მამულიშვილებს, თვალთმაქციობით მაღლა მყვირალებს, ვითომ ქვეყნის გულის შემატკივრებს და ამ პირბადით მდაბალ სავაჭრო-საჩარჩო საქმეებში გაბმულებს! ამ ხალხს ხომ ყველა კარგათ ვიცნობთ, მაგრამ აქ რა ალაგი აქვს იმათზე ლაპარაკს!

ხანგრძლივი ბაასის შემდეგ, დიმიტრიმ გვითხრა: «ყმაწვილებო, დაღალულ-დაქანცულები ხართ მგზავრობით, მოდით, სოფლურად ადრე ვისადილოთ და მერე მოისვენეთ. მგონია, ასე ემჯობინება?» აბა, ჩვენ ამაზე რა გვეთქმოდა! შემოუსხედით ძვირფას სუფრას; თითონ განსვენებულმა იკისრა თამადობა და რა არ ითქვა ამ ნეტარ-მოსაგონებელ სუფრაზედ!.. დიდის ღვინით, სიამოვნებით და სიმღერით გავატარეთ ეს დაუვიწყარი ნადიმი.

გათენდა მშვენიერი დილა. მარიამობისთვე იწყებოდა და ქვიშხეთში საგრძნობლად გრილოდა დილით. დილით ადრე გამოვედით აივანზე და რა სურათი წარმოგვიდგა მზის ამოსვლისას: წინ დაფენილი ათასფეროვანი, მოხუნლ-ნათესი დაუსრულებელი მინდორ-ვაკე, რომელზედაც ლურჯი ხაზივით მიიკლავნება მტკვარი... მეტადრე დღეს არის სანახავი ეს მიდამო, როდესაც ამ დიდებული მაღლობიდან ბუნების სიმშვენიერესთან ერთად ხედავ ორ მხრივ განუწყვეტლივ მიმოსვლას მატარებლებისას იმერეთისაკენ და ბორჯომისკენ. რომ არ შემრცხვეს, თამამად ვიტყვი, რომ ქვიშხეთი, როგორც სააგარაკო ადგილი, ბევრით მაღლა სდგას ბორჯომზე და აბასთუმანზე, თუ სამკურნალო წყლებს არ ვიქონიებთ სახეში.

დილის ათ საათზე ხაშურიდან დაბარებული ეტლები ამოგვივიდა. ვისაუზმეთ, ჩავიბარგეთ და გავსწიეთ ბორჯომისაკენ. მივედით მშვენიერ გატკეცილ გზაზე მტკვრის პირას ბორჯომის ხეობაში. ორივე მხარეს გზისა ამართული ტყით შემოსილი უზარმაზარი მთები და იქ, სადღაც, თვალუწვდენელ კენწეროში არწივის ბუდესავით კლდეზე მიკრული ადგილობრივი მცხოვრებლების სახლები. გზა-გზა ახალციხემდის ხშირად შევხვდებოდით ხოლმე ამისთანა უცნაურ სახლებს, თვალ-უწვდენელ კლდეზე გადმოკიდებულს.

ესეც ბორჯომში მოვედით, ჩამოვხტით ფოჩტის სადგურზე და, ვიდრე ცხენებს გამოსცვლიდნენ, საუზმეს შეუდექით; ქვიშხეთიდან გვქონდა ხორაგეული წაღებული. მეტისმეტად ცხელოდა და ჩრდილს მივაშურეთ. ბორჯომს რომ ტყე არ ჰპურავდეს, ტფილისის პირია: იგივე თონესავით ჩაღრმავებული ადგილია, იგივე ხრიაკი-ნაპირებიანი მტკვრის ხეობა, იგივე სიცხე-პაპანაქება... ზაფხულში ნაშუად-

ღვეის 4\_5 საათზე ბორჯომში არა ნაკლებ მწველ სიცხეს შევსწრებივართ, როგორც მკათათვეში ტფილისში. ეს არის, რომ ბორჯომი ხალხს ამოჩემებული აქვს სააგარაკოთ, თორემ მისი ყველა ნაკლულევანება რომ გადმოვშალოთ, არაფერი სახარბიელო არ არის.

აქ ჩვენ წარმოდგენა არ გაგვიმართავს. ჯერ ერთი, რომ ამ ზაფხულს აქ ძალიან ცოტა მოაგარაკენი იყვნენ, და ვინც იყო, ისიც რაღაც ჭრელი ხალხი, მათში სულ მცირე ქართველობა, და მეორეც, სასცენო ადგილი ძალიან ძნელი მოსაპოვებელი და მოსაწყობი იყო: მხოლოდ ერთი როტონდო იყო ყოველი მხრით ფარღალაღა, საღაც საღამოობით სამხედრო მუსიკა უკრავღა ხოღმე, და ჩვენ საღა გვქონღა თანხები ამ ღია ადგიღის სასცენოღ მოწყობისათვის: ძალიან ღიდ ხარჯს ითხოვღა. ამ გვარაღ პატარა შესვენების შემღდეგ გავემზადეთ აბასთუმნისკენ, მაგრამ... დახე კიღდეგ ჩვენს იღბაღს: უცბაღ ჩვენი ქაღები ავაღ გაგვიხღდნენ და მერე როგორ ავაღ! იკვღანჭებიან, გმინავენ, ოხრავენ... ჩვენ ეღღა გვეცა: საიღან რა ვუწამღოთ! რითი დავამშვიღოთ! ექიმი საღ ვეღებოთ, კარებზე შემბმული ეტღები გვიცღღიან და გვაშურებენ. რაც-კი გაგვეგებოღა ექიმოღისა, რას დავიშურებღით: ზოგი სასუნებღით, ზოგი «კაპღლებით», როგორც იყო, მოვასულიერეთ და გაღასავსავებული ჩვენი «პრიმაღღონები» ეტღებში ჩავსხით. ამნაირაღ გულ-დახეთქიღები გავუღდექით გზას. ჯერ კიღდეგ გვიმაღავღდნენ და შემღდეგ კი გამოგვიტყღდნენ ჩვენი ქაღები, რომ ჩვენს ჩუმაღ ფოსტის საღგურზე ცაღკე ოთახში ჩაკეტიღიყვენენ და ხარბათ მიერთმიათ განთქმული ბორჯომის ხეოღის კაღმახი (და, მგონია, ისიც ძვეღი).

ღამის ცხრა საათი იქნებოღა, რომ ახაღციხეში შევეღღით. სასტუმრო ვერ ვიშოვეთ და ფოსტის საღგურზე ჩამოვხტით ორ ფართო ოთახში. გავშაღღეთ იატაკზე, რაც რამ გვებაღა და ჩამოვმწკრივღღით. ჩვენი ქაღების მშვიღღობით გაღარჩენის გამო იმ წყეულ კაღმახებისაგან, გავმხიარულღღით, ვიციღნეთ, ვიოხუნჯეთ და მე და გიგა ყიფშიღემ კიღდეგ შემოვმახეთ «მეტივეური», ზააღ მაჩაბელი და სხვანი ბანს გვაღღევღდნენ. ამგვარაღ ქაღებიც გავამხიარულეთ და თითქმის განთიადამღღის ასე სიამოვნებით გავატარეთ ღრო, ღიღაზე გავეღღით ქაღაქში, საღ და როგორ მოგვეწყო საქმე.

ქართვეღობა იმ ღროს არავინ იყო ახაღციხეში. აქეთ-იქით წასულიყვენენ საზაფხუღოღ. სცენისთვის გვიჩვენეს სკოღის შენობა, რომელიც წარმოდგენისათვის ადვიღი მოსაწყობი იყო, მხოლოდ ეხღა კი არა, აბასთუმნიღან გამოვღაზე, მით უმეტეს, რომ ახაღციხეში იმ ღროს არ დავგიხვღა იქაური ქართვეღი მეთაური ოჯახი – მ უ ს ხ ე ლ ა ა ნ ი . გავემართეთ აბასთუმნისაკენ და ამბავი დავუტოვეთ, რომ გამოვღაზე გავმართავთ წარმოდგენას. დახმარება სიამოვნებით აღგვითქვეს, ვინც მაშინ იქ ქართვეღობა იყო.

გავსწიეთ აბასთუმნისკენ. ღღევანღელი გზატკეციღი მაშინ არ იყო და მხოლოდ ახაღი დაწყობიღი იყო ამ გზაზე მუშაობა; ჩვენ უნღა გაღავსულიყავით პირდაპირ უღღელტეხიღზე, რის გამოც ამ მთაზე ასასვღელაღ სამის მაგიერ ხუთ ცხენს აბამღდნენ ეტღში, ანუ ოთხის მაგიერ ექვსს. შეუღდექით მთას. ნაწვიმი ღღე იყო და ვერც ამ მომატებულმა ცხენებმა გვზიღღეს, ხან საღ შეღღებღიან, ხან საღა. აქ გამოუშვებღდნენ იქ მიუმატებღდნენ; ცოტას გავივღღიღით და კიღდეგ შეღღებღიან. რამღენიღე კაცი ჩამოვეღღით ეტღებიღან და აღმართში ფეხით მივსღღევღით; მაინც კიღდეგ რამღენჯერმე შეღღებოღდნენ ხოღმე ცხენები. მერე ქაღებიც კი

გადმოვიდნენ ეტლიდან და რის ვაივაგლახით ავედით მთაზე. აქედან კი თითო ეტლისათვის თითო ცხენიც საკმარისი იყო, რადგანაც აბასთუმნამდის დაქანებული თავქვეა.

სალამოს ჟამს მივედით აბასთუმანში, ის იყო სანთლებს ანთებდნენ. პირდაპირ სასტუმროს მივატანეთ, (მაშინ «მირაქოვის სასტუმროს» ემახოდნენ დიდ ქუჩაზე), მაგრამ ოთახები ვერ ვიშოვეთ, ყველა დაჭერილი იყო, წყლის გაღმა მიგვასწავლეს სხვა სასტუმრო, სადაც სამი ოთახი ვიშოვეთ, იქ ჩამოვხტით. აბასთუმანში მოაგარაკენი ბევრნი იყვნენ და მათში არა მცირე ნაწილი ქართველობა. დამითვე გაეგოთ ქართველებს ჩვენი მისვლა და დილაზე ადრე მირაქოვის სასტუმროში რომ წავედით სცენის დასათვალიერებლად, მოგვიკითხეს. პირველად მოვიდნენ პატივცემულნი ნ ი კ ო მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი, მაშინდელი ახალციხის მაზრის უფროსი (დღეს დუშეთის მაზრის უფროსი) და ინჟინერი ფ ი დ ო ყ ა ზ ბ ე გ ი . მათ მოჰყვათ განსვენებული პოეტი მ ა მ ი ა , თ. გ ი ო რ გ ი ჩ ი ჩ უ ა, თ. ი ვ ა- ნ ე ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი , და თ ი კ ო ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი და სხვა ქალი თუ კაცი.

მცირე თათბირის შემდეგ გადავწყვიტეთ, მირაქოვის სასტუმროში გაგვემართა წარმოდგენა. სასტუმროს სცენის გარდა როტონდოც იყო წყლის მარცხენა ნაპირს, სადაც ყოველ დღე მუსიკა უკრავდა და ცეკვა იმართებოდა. მაგრამ ამ როტონდოს მოწყობა გვეძნებოდა, თუმცა, მეორე მხრით, სასტუმროს სცენაც გვეძვირებოდა. მაინც ერთი წარმოდგენა გავმართეთ ამ როტონდოში დიდის შრომის და ჯაფის შემდეგ, რასაც სიამოვნებით გვიყოფდნენ აბასთუმნელები. ორი წარმოდგენა სასტუმროში გავმართეთ. რა პიესები ვითამაშეთ არ მახსოვს. ერთი წარმოდგენა მახსოვს, რომელშიაც ბატონმა ნიკო მესხიშვილმა, მაზრის უფროსმა, და ფილო ყაზბეგმა მონაწილეობა მიიღეს. ამ დღეს ვითამაშობდით «პეპოს» და ვასო აბაშიძის ვოდევილს «ცოლი თუ გინდათ, ეს არის!» ეს საქმე ასე მოხდა: რომ უფრო საინტერესო ყოფილიყო ჩვენი წარმოდგენა და, რასაკვირველია, შემოსავალიც დიდი, ბ-ნი ნიკო მოვიდა ჩვენთან და გვითხრა: «მოდი, პეპოს როლს მე ვითამაშებ, რადგანაც დიდი ხანია ამაზე ვფიქრობ, ვითამაშებ თუ არა! და ჩვენი ფილო კიდევ ვოდევილში ვათამაშოთ»-ო. ჩვენ დიდის სიამოვნებით იმწამსვე გადავეცით ორივე პიესა... აბა, ჩვენ რად გვინდოდა, ყველამ ზეპირად ვიცოდით, არამც თუ მარტო ჩვენი როლები, არამედ მთელი პიესაც. ელექტრონის სისწრაფით გავარდა ხმა აბასთუმანში, რომ მაზრის უფროსი მესხიშვილი ქართულ სცენაზე ითამაშებსო. აბა, რა თქმა უნდა, თეატრში ჭედვა არ იქნებოდა. პირველ სალამოზედვე ბილეთები დაიტაცეს. მხოლოდ, ჩვენდა სამწუხაროდ, თეატრის დარბაზი პატარა იყო და ამიტომ ბევრი წარმოდგენის ნახვის მსურველი ვერ დაესწრო. წარმოდგენის დღეს ერთი რეპეტიცია გვქონდა, რომელზედაც გაგვაოცა ბ-ნი ნიკოსაგან ერთ დღეში პეპოს როლის დაზეპირებამ! სალამოს მოვრთეთ ჩვენი პეპო დომლულ-ახალუბ-გულისპირით, ზემოდან აქლემის ყელის ჩოხით და მხარ-ბეჭიანი ვაჟკაცი მშვენიერის გმირულის ფრიალა წვერით გამოვიყვანეთ სცენაზედ. საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. დანარჩენები ყველა ჩვენს როლებში ვიყავით, გარდა გიგო ყიფშიძისა, რომელიც აბაშიძის როლს თამაშობდა \_ ზიმზიმოვს. ამ გვარად წარმოდგენის დროს რიგ-რიგათ ვსუფლიორობდით, მე, ყიფშიძე და საფაროვის ქალი, ვინ როდის იყო თავისუფალი, რადგანაც ამ სალამოს ყველანი ვითამაშობდით. პეპოს როლის მოთამაშე ბევრი მინახავს, რომ კარგათ აესრულებინოს ეს როლი. მაგალითად, სომხების არტისტი ჩ ი მ ი შ კ ი ა ნ ი , ჩვენი ს ა ნ დ რ ო ყ ა ზ ბ ე გ ი , ზ ა ა ლ მ ა ჩ ა ზ ე ლ ი და სხვანი, მაგრამ არც

ერთი ამათგანი როლის სინამდვილეს ვერ ხატავდა ისე, როგორც გამოხატა ბ-ნმა ნიკომ. საზოგადოდ მიღებული აქვთ (არ ვიცი, რისთვის) პეპოს წარმომადგენლებს, ამ როლს მიათვისონ შექსპირის ანუ სხვა ტრაგედიების გმირების ხასიათი: განწირული სულის კვეთება, სიტყვების (სულ უბრალო და მკრთალ-შინაარსიან სიტყვების) მრისხანედ ჭეჭა-ჭუხილი, უღრმესი სასოწარკვეთილება, გულის წუხილი, უიმედო სულის ბრძოლა და ამისთანები (დიდათ პატივცემული ავტორი ამ გვარ პეპოს როლის გამოხატვას ყურადღებას არ აქცევს, მგონია, მოსწონს კიდეც). მაგრამ პეპო ხომ ევროპიელი გმირი არ არის! იგი ჩვენი ორთაქალის მეთევზეა, უბრალო მომაკვდავი, შრომის შვილი, ჰალალი ლუკმის მჭამელი, ძლიერისაგან დაჩაგრული, ფულით გაბატონებულის უსამართლოების მსხვერპლი და ლაპარაკის, სევდის და ნაღველის გამოთქმის კილოც ასეთი აქვს: არა ამაყური, არამედ წყნარი... ბედისაგან დაჩაგრულის შეგნება თავის უძლურებისა ძლიერთან ბრძოლაში. პეპოს მთელს ტანში მოდებული აქვს სიმწარე უსამართლობის გამო, მას ბოღმა ახრჩობს, გული სისხლით ევსება, მაგრამ ამ გამოუთქმელ ტანჯვას ის ვერ დაიყვირებს, მგრგვინავი მეხით ვერ შესძახებს ქვეყანას, ეს ასეაო! აი, სწორეთ ამისთანა გამომხატველი იყო ბ-ნი მესხიშვილი პეპოს როლისა. იმ მონოლოგში, სადაც, საზოგადოდ, პეპოს მოთამაშენი თვალის ბრიალით ერთ უშველებელს ყვირილს ასტეხენ ხოლმე, ბ-ნმა ნიკომ დინჯათ, დაბალის ხმით, სასოწარკვეთილებით თავის თავს დაუწყო ლაპარაკი: «წადი პეპო, მიწა ალოკე, ხალხს ფეხები დაუკოცნე, იმათ ფეხის მტვერი ალოკე!» და შემდეგ უფრო გაქსუებული იმედებით და თავის თავის სიბრალოდით: «ვინა ხარ შენ? რა ხარ? რა კაცების მარაქაში ერევი, შენ ხომ კაცი არა ხარ?» და სხვა. ესა და სხვა მონოლოგები ისე გულის აღმძვრელი სევდიანის ხმით და კილოთი იყო წარმოთქმული, რომ დამსწრე საზოგადოებამ ცრემლი ვეღარ შეიკავა და დარბაზში ჩუმი ქვითინი მოისმა.

მე არაფერი შვილი არტისტი ვარ, მაგრამ თუ ოდესმე შემხვდა პეპოს როლის თამაშობა და დაახლოვებით მაინც მივბაძე ბ. ნიკო მესხიშვილის თამაშობას, დარწმუნებული ვარ, რომ დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დარჩება ჩემი თამაშობით. ასე ღრმა შთაბეჭდილება იქონია ბ. ნიკოს თამაშობამ ჩემზედ.

არა ნაკლებ თავი გამოიჩინა თავის თამაშობით ამ დღეს ბ. ფიდო ყაზბეგმა, მხოლოდ «მეორეს მხრით». ბ. ფიდო ვოდევინში თამაშობდა, სადაც «კუპლეტებს» მღერის და ცეკვავს ქალთან ერთად. მე ამ პიესაში სუფლიორად ვიყავი და ფიდომ პიესის დაწყებამდის მითხრა: «ბიჭო, როლი კარგათ არ ვიცი და ვინძლო, რიგიანად მომაწოდო სიტყვები». დავიწყეთ წარმოდგენა; ლექსებამდის რომ მივედით, ხმა აუმაღლე, რომ უფრო კარგა გამეგონებინა... ყვირილიც მოვრთე, მაგრამ თქვენი მტერი! ერთი სიტყვაც ვერ ვათქმევინე! სულ არაფერი იცოდა! ხტის ეს კაცი, რაც შეუძლიან, და თან «ტრალალას» იძახის! მე თავი ვეღარ შევიკავე და წავიფრუტუნე... არტისტებს სცენაზედ წასკდათ სიცილი... საზოგადოებაში ამის დანახვაზედ ასტყდა ერთი საშინელი სიცილი-ხარხარი; ერთი დაუსრულებელი ჟრიამული! რომ არ შემრცხვეს, ერთი ათი წუთი მაინც ხარხარებდა თვალებში ცრემლ-მორეული საზოგადოება. რომ აღარაფერი გამეწყო, და არტისტებმაც გული ვეღარ მოიბრუნეს, უდრო-უდროს ფარდა ჩამოუშვი. სწორედ უბედურებაა, წარმოდგენის დროს არტისტებს რომ სიცილი აუტყდებათ! მაშინ მათი შეკავება შეუძლებელია: გული ამოუჯდებათ, სულს ვეღარ მოითქვამენ და ნერვებით დასუსტებულებს სიცილი თანდათან უძლიერდებათ და ნამდვილ ისტერიკად



გადაექცევით ხოლმე. ასე დაგვემართა ჩვენც; მით უმეტეს, იმ დღის წარმოდგენით საზოგადოება მეტად ნასიამოვნები დარჩა, რის დამამტკიცებელიც იყო საზოგადოებისაგან მეორე დღეს გამართული დიდი ნადიმი ტყეში.

კვალად ჩავიბარგეთ, გამოვეთხოვეთ და გამოვსწიეთ ქალაქისკენ. ახალციხეში გამოვლაზედ ერთი წარმოდგენა გავმართეთ. კვალად იგივე დახმარება, იგივე დიდი ყურადღება და პატივისცემა საზოგადოების მხრივ.

ეხლა კი უკანასკნელად ჩავიბარგეთ და გამოვსწიეთ პირდაპირ ქალაქისკენ სამუდამო ჭაპნის საწევლად.

## 6

ესეც ჩამოვჩანჩალდით ქალაქში ჩვენის ბარგი-ბარხანით, საჩუქრებით და ნავაჭრებით. ბათუმში ვიყიდეთ ბევრი ტანისამოსები, მშვენიერი და იაფი, სცენაზე და ცხოვრებაში სახმარებელი. როგორც მოგეხსენებათ, ბათუმი მაშინ პორტოფრანკო იყო და როგორათაც ყოველგვარი სანოვაგე, აგრეთვე ტანისამოსი და სამკაულები ჩალის ფასად ღირდა, რადგანაც ბათუმში შემოსულს საქონელზე ბაჟს არ ახდევინებდნენ. მაგალითად, იქ რომ თითო ხელი ტანისამოსი ვიყიდეთ, მაშინდელ ევროპიულ გემოვნებაზე რიგიანად შეკერილი, 12 მანეთად სამი ნაჭერი, იგივე ტანისამოსი და იმ დროსვე ტფილისში 30\_35 მანეთი ღირდა. იქ რომ მანეთ-ნახევრად შლიაპები ვიყიდეთ, ქალაქში იმისთანა შლიაპებში შვიდ მანეთს ფეხს არ უცვლიდნენ. შალეულობას და აბრეშუმეულობას ნულარ იტყვიო, მეტადრე ჩესუნჩას, რომლითაც გული იჯერეს ჩვენმა ქალებმა: საჩუქრად ხომ მიიღეს და მიიღეს საზოგადოებისაგან ეს ძვირფასი მატერიები, და რაც ფული გააჩნდათ, იმისიც სულ იყიდეს სიხარბით, ასე რომ მარტო გზის ფული-და დარჩათ ტფილისამდის.

ასე და ამ გვარად ქალაქში ჩამოვედით ჩვენის მზითვით: მაშინ ყველანი, აბაშიძის და საფაროვის ქალის გარდა, გასათხოვარ-დასანიშნავები ვიყავით. ძალიან სამეფო-საკატარძლო ხალხი ვიყავით მაშინ, ღვთის წინაშე! გაზაფხულზე თბილ მზის სხივებზე რომ გამორეკავენ ხოლმე მოზვერ-დეკეულებს, სწორედ ისე დავფუნდრუკობდით ეს ახალგაზრდა ხალხი, თითქმის გოგო-ბიჭები! თვალი დაუდგა წუთი-სოფელს. ეხლა, ამ მცირე დროს განმავლობაში (22 წელიწადში) ფუნდრუკი კი არა... კუდიტ საწევები დავხდით! ეჰ, მახლას! ერთი დრო არვის შერჩებაო! ის ნეტარი სიყმაწვილე ხომ გამოვცადეთ, ეხლა სიბერის სიმყაყეს ვებრძოლოთ.

ქალაქში დავბრუნდით სუყველანი, ვინც კი აქედან წავედით, მშვიდობით, უვნებლად და გამარჯვებით: ჯანზე ყველანი კარგათ ვიყავით და საღათ, თუმცა მოგზაურობით და აღტაცებული დროს გატარებით მოღალულნი, მზეში დამწვარნი უფრო თათრის ტილებსა ვგვანდით, ვიდრე ქართველი ტომის ხალხს. ჩამოსვლისთანავე ბ. გიორგი თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ს ჩავუთვალე ჩემდამი მონდობილი სათეატრო ტანისამოსი ზედ დამატებით, რაც გზაში მოვიპოვეთ: ქუთაისში შემოსწირეს ჩვენს გარდერობს ფრაკი, სამხედრო სერთუკი და ქუდები, განსვენებულმა დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ მ ა თავისი ვიც-მუნდირი და ბევრი რამ ამისთანები. შევიკრიბენით მგზავრები, დაწვრილებით უამბეთ ჩვენს მეთაურებს ჩვენი მოგზაურობა. მათ სიამოვნებას საზღვარი არა ჰქონდა. შემდეგ ურთიერთ შორის თათბირისა, როდის გავხსნათ სამუდამო სცენა, რა ვითამაშოთ, ჩვენ

დავიფანტენით რამდენიმე კვირით ჩვენს სახლებში დასასვენებლად, ჩვენი ცხოვრების მოსაწყობად და სამუდამო სცენისათვის მოსამზადებლათ.

როგორც ზევით მოგახსენეთ, 1878 წელში სრულიად დამწიფდა სამუდამო სცენის დაარსების სურვილ-წყურვილი, რის გამოც სცენის მოყვარულთა ამორჩევით შესდგა თეატრალური ამხანაგობა (კომიტეტი). ამ კომიტეტს შეადგენდა სცენის მოყვარულთაგან ამორჩეული ხუთი კაცი: დ ი მ. ყ ი ფ ი ა ნ ი, ნ ი კ. ა ვ ა ლ ი შ- ვ ი ლ ი, ა ლ. ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი, ი ო ს. ბ ა ქ რ ა მ ე და გ ი ო რ გ ი თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი. აი, ამ კომიტეტს ეკუთვნის ყოველი ცდა, ყოველგვარი დაბრკოლების თავიდან აცილება და სამუდამო სცენის აღორძინება.

როგორც მოხსენებულები მქონდა, კომიტეტი იმის ცდაში იყო, რომ, უწინარეს ყოვლისა, შეეძინა ცოტ-ცოტათი სათეატრო ტანისამოსი, შეედგინა რიგიანი რეპერტუარი, ემოვა ფული, წაეხალისებინა დრამატიული მწერლობა ჯილდოს დანიშვნით საუკეთესო პიესების დაწერისათვის და სხვა ამ გვარები. ამ კომიტეტისავე თაოსნობით შესდგა სამუდამო დასი. აი, რასა ვკითხულობთ ბ. გიორგი თუმანიშვილის ბროშურაში – «ქართულ თეატრის საქმე» – 20 ივნისს 1879 წ. «მაისში შეადგინა (კომიტეტმა) კიდევ ტრუპა იმ პირებიდან, რომელთაც მეტი ნიჭი გამოიჩინეს ზამთრის (1878 წ.) გამართულ წარმოდგენებში. ეს პირნი არიან შემდეგნი: მ. საფაროვისა, ნ. გაბუნია, მ. ყიფიანი, ბ. კორინთელისა, კ. ყიფიანი, ვ. აბაშიძე, ნ. შიშნიევი, ზ. მაჩაბელი და ა. ცაგარელი. დრამატიულ მორაშიყის როლების მოთამაშედ თეატრალურ ამხანაგობას ჰყავს მხედველობაში კ. მესხი. წარმოდგენებში მიიღებენ მონაწილეობას აგრეთვე გამოცდილნი მოთამაშენი სცენის მოყვარულები: კ. კ ო ლ უ- ბ ა ნ ს კ ი, ე ლ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს ა (ყიფიანი), ნ. ა ვ ა-ლ ი შ ვ ი ლ ი და სხვ».

ზემოხსენებულ კომიტეტი განაგებდა ჩვენი თეატრის საქმეს სცენის დაარსებამდე; ხოლო სამუდამო დასის შედგენის შემდეგ კომიტეტს მოაკლდა ერთი წევრი – ალექსანდრე სარაჯიშვილი, რომელიც საქმეების გამო უცხო ქვეყანაში წავიდა და მაშინ ამოირჩიეს დ. ყიფიანის და გ. თუმანიშვილის წინადადებით ოთხი წევრი: თ. თ. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, და ვ ი თ ე რ ი ს თ ა ვ ი, ი ვ ა ნ ე მ ა ჩ ა ბ ე ლ ი და და ვ ი თ ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი.

პირველ რეჟისორად ამოირჩიეს თ. და ვ ი თ ე რ ი ს თ ა ვ ი, მაგრამ იმან უარი განაცხადა კერძო საქმეების გამო. მაშინ ამორჩეული იქნა ამ საპატიო, თუმცა დიდათ სამწიფო თანამდებობაზე, როგორც რეჟისორის თანამდებობაა, ბ. გ. თუმანიშვილი, ეს ჭეშმარიტი მოღვაწე ქართულის სამუდამო სცენის დაარსების საქმეში.

დასის მოგზაურობის დროს, დასისვე ამორჩევით, რეჟისორად და ხაზინადრად იყო არტისტი კ. ყიფიანი.

მოახლოვდა სეზონის დაწყების დრო და ჩვენც მოვიყარეთ თავი თეატრის დარბაზში. მაშინ «საზაფხულო თეატრს» ეძახდნენ, მტკვრის პირზე რომ თეატრი იყო – რასაკვირველია, ყველას კარგათ ეხსომება. დიდი ხანი არ არის, რაც დაანგრის. იქ დავიწყეთ წარმოდგენების მართვა და განვაგრძეთ, ვიდრე აწ განსვენებული გ რ ი გ ო ლ ა რ წ რ უ ნ ი თავის ქარვასლაში თეატრს გააკეთებდა. მაშინ კი იმის თეატრში გადავედით, სადაც დიდი შეღავათიან პატივისცემაც გვქონდა არწრუნისაგან.: მახსოვს, რამდენჯერმე, როდესაც შემოსავალი ნაკლებად გვქონდა, არწრუნი ან სულ გვაპატიებდა თეატრის ქირას, ან არადა მართლ განათების საფასურს აიღებდა ხოლმე. ჩვენი არტისტებისათვის რამდენჯერმე

ფულითაც გაუმართია ხელი, ბენეფისებში თეატრის ქირა შეუწირავს არტისტებისათვის. განსვენებული ჭკვიანი და შორს გამჭვრეტი კაცი იყო. «საზაფხულო თეატრი» მაშინა ჰქონდა აღებული ა ლ ე ქ ს ა ნ - დ რ ე პ ა ლ მ ს, თვით არტისტს და დრამატიულ მწერალს. თეატრს განაგებდა მისი უფროსი შვილი, დარბაისელი და თვალსაჩინო დღესაც კომიკური არტისტი სერგეი. ამის გარდა მაშინდელ რუსულ დასში მონაწილეობას იღებდა მთელი სახლობა პალმისა; მამა, ალექსანდრე, მისი ცოლი – კომიკურ ბებრების როლების მოთამაშე, ამითი შვილები: ს ლ ო ბ ო დ ი ნ ა (სათეატრო გვარია) და საოხუნჯო კომედი-ვოდევილებში კარგი მოთამაშე ა რ ბ ე ნ ი ნ ი ს გვართ დღევანდელი «ჩერნომორსკი ვესტნიკ»-ის რედაქტორ-გამომცემელი ბ. პალმი. ეს ოჯახი იმიტომ მოვიგონე, რომ ძალიან ყურადღებით იყო ახალ დაწყობილ ქართულ თეატრზე: წარმოდგენებს ესწრობოდნენ, დარიგებას გვაძლევდნენ, თავიანთ ბიბლიოთეკიდან ამორჩეულ პიესებს გვაძლევდნენ სათარგმნელად. მაგალითად, სხვათა შორის, მოხუცებულმა პალმმა მომცა მე სათარგმნელად საკუთარის ბიბლიოთეკიდან (თავის არჩევით, მე არ მითხოვია) შემდეგი პიესები: «ორი ობოლი» «მონასტრის ზღუდეთა შორის» – «კარდინალი რიშელიე» – და თან დასძინა: «ეს პიესები გადათარგმნეთ, კარგი პიესებია, რეპერტუარში იქონიეთ, გამოგადგებათო». მე, რასაკვირველია, დიდის მადლობით გამოვართვი და გადავთარგმნე.

კომიტეტის გადაწყვეტით სამუდამო სცენის გახსნისა და სეზონის დაწყებისათვის ამორჩეული იყო განსვენებული კნენინა ბ ა რ ბ ა რ ე ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს ა გ ა ნ ახალი თეატრისათვის დაწერილი კომედია: «რას ვეძებდი და რა ვპოვე». ეს პიესა ვითამაშეთ 5 სექტემბერს 1879 წელს. დიდის ამბით გადავიხადეთ თეატრის გახსნის დღესასწაული, საზოგადოება, ცხადია, მრავალი დაესწრებოდა, და პიესამაც მშვენივრად ჩაიარა (ეს პიესა სამჯერ იყო განმეორებული ამ სეზონში). მას მოჰყვა სხვა პიესებიც, გაიჩარხა და გაჩაღდა საქმე. ნათარგმნ და გადმოკეთებულ პიესათა გარდა, წარმოდგენილი იყო რამდენიმე ორიგინალური პიესა, განგებ ახალი თეატრისათვის დაწერილნი ამ ხანებში. «გულთმისანი» – პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს ა, «ბედნიერი ქალი» – გ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა, «კინტო» – ა კ ა კ ი ს ა და ბევრი სხვა. მათ შორის (კაცმა თავის თავიც არ უნდა დაივიწყოს) ჩემი პირველი კომედიაც «რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!» სამჯერ განმეორებული ამ სეზონში.

საზოგადოება მალე შეეჩვია თეატრს, გულმოდგინეთ დაიწყო თეატრში სიარული და მისი დახმარება. ბევრმა აბონემენტი აიღო; კერძოდ არტისტებსაც გამოუჩნდათ მოსარჩლენი და ნიჭის თაყვანის მცემელნი და ამ გვარად ჩვენი ნორჩი, ლოფლოფი თეატრი დავაჟაკებულს უცხო თეატრებს დაემსგავსა. კომიტეტმა წარჩინებული არტისტებისათვის ბენეფისები შემოიღო. რა ამბავი იყო ხოლმე ამ ბენეფისებზე, დაუჯერებელია. ძველი თეატრი რამდენად დიდი იყო დღევანდელს ჩვენს თეატრზე, და ის დიდი თეატრი ისე გაიჭედებოდა ხოლმე ხალხით, რომ არამც თუ დასაჯდომი, დასადგომი ალაგიც კი არ იყო; რომ არ ვიცნო, ნახევარი საზოგადოება უალაგობის გამო გულდაწყვეტილი ბრუნდებოდა სახლში. ბევრი დამემოწმება, რომ ქანდარის ექვს-შაურიან ბილეთში ორი-სამი მანეთი უძლევიათ და ვერ უშოვიათ. საჩუქრებს არ ვიტყვი, რომელიც ბენეფიციანტებს აუარებელი მოსდიოდათ (მგონია, გაზვიადებათ არ ჩამომართმევთ, რომ აუარებელს ვეძახი 10-15 ძვირფას საჩუქარს, რომლებიც ახალი დაბადებული თეატრის ჯერ ნაკლებად ცნობილს არტისტებს მიერთმეოდათ

ხოლმე), ფულათაც კარგა ბლომად რჩებოდათ. ჩემი მოხსენებიდან ცხადათ დაინახავთ, როგორი ბენეფისებიცა ჰქონდათ ხოლმე ჩვენ ზოგიერთ არტისტებს: საღამოს თეატრის ქირა იყო 200 მანეთი. კომიტეტი იღებდა თეატრის საჭიროებისათვის 200 თუ 250 მანეთს (კარგა არ მახსოვს). ახლა სარეკვიზიტო წვრიმალი ხარჯი... და გარეშე ყველა ამისა, ბენეფიციანტს რჩებოდა ნაღდი 400-600 მან. ასეთი ბენეფისები ჰქონდათ საფაროვის ქალს, გაბუნიას ქალს, ვასო აბაშიძეს და სხვ. ჩემს გარდა, დარწმუნებული ვარ, ბევრნი არიან ამის მოწმე.

აი, დაწყებიდან როგორ ფართოდ დაიწყო მსვლელობა ნორჩმა თეატრმა.

დაწყება დიდებული და მშვენიერი იყო: თეატრი დაადგა სწორე და გარკვეულს გზას. ეხლა ფათერაკის შიში აღარ იყო, მაგრამ... ამისთანა საზოგადო საქმეში, მეტადრე ჩვენში, განა შეღავათს მოგცემენ, რომ შეისვენო და თავისუფლად ამოიქაქანო! ამ საქმეს დააცდიან, რომ სწორე გზაზე დაყენებული პატარა ხანს შეურყევლად მიმდინარეობდეს! ზოგი მეტის ერთგულობით და სიყვარულით, ზოგი თავხედობით, ზოგი მეშურნეობით აღჭურვილნი გადაეღობებიან წყნარად მიმავალს, ჭკვიანურ გზაზე დაყენებულს საქმეს და ამ საბრალოს სადღაც უფსკრულში გადაჩეხავენ. ჩვენი თეატრიც ამ 22 წლის განმავლობაში ხშირად ჩავარდნილა განსაცდელში, მაგრამ ერთი-ორი მისთვის თავგანწირულის მუშაკის მეოხებით ისევ სწორე გზას დასდგომია. დღეს ჩვენი თეატრი, რაკი მან მამაცად გადმოქელა მეცხრამეტე საუკუნე და თავი ამოჰყო მეოცეში, გაკვერილ გზაზე სდგას, მისი შერყევა შეუძლებელია, რადგან ფესვები ღრმად და შორს აქვს წასული...

ბ. გ ი ო რ გ ი თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი რეჟისორობდა დასს პირველ ენკენისთვიდან 1879 წლისა მარტის პირველამდე 1880 წ. ბ. გიორგი იყო რეჟისორი მშვილდი, უწყინარი და სამართლიანი; მოღვაწე კეთილშობილი და უანგარო, რომელიც არამც თუ საქმის მსვლელობას, მის წვრილმან გარემოებასაც კი დიდ ყურადღებას აქცევდა. მეტი საქმისათვის თავგამოდებული და თავდადებული კაცი ძნელი წარმოსადგენია, როგორითაც ბ. გიორგი ჩვენი თეატრისთვის იყო. მის ნაწერებში ასო ასოთ აღნუსხულია ქართული თეატრის მიმდინარეობა, ვიდრე ის რეჟისორად იყო, რამდენი პიესა იყო სეზონის განმავლობაში წარმოდგენილი, რამდენი მათში ორიგინალური და რამდენი ნათარგმნ-გადმოკეთებული, რომელი პიესა რამდენჯერ იყო ნათამაშევი, რომელ თვეში რამდენი შემოსავალი და ხარჯი იყო, ბენეფისები რას იძლეოდნენ და სხვა ამისთანები. ძალიან იშვიათია ასეთი გატაცება, როგორადაც ბ. გიორგი ქართული თეატრის საქმით გატაცებულ-გამსჭვალული იყო.

ასე მშვენივრად დაწყობილი საქმე თავისუფლად მიმდინარეობდა, გადმოაბიჯა მეოთხმოცე წლებში და კვალად სრიალით გაუდგა გზას. მართალია, იმ ხანებში თეატრს ბევრი ხინჯი გამოსჩენია, მაგრამ იმის ერთგულ გულშემატკივართ და ჭირისუფალთ იგი (თეატრი) დაცემამდის არ მიუყვანიათ და მამაცად მხრებით გაუტანიათ კვლავ გატკეცილ გზაზე... მაგრამ... ამას თავის დროზედ თეატრის ისტორიის დამწერი განმარტავს.

მეოთხმოცე წლებში დასს მოემატნენ სხვა და სხვა დროს ის არტისტები, რომელთაც ეხლა ჰხედავთ და მათთან აწ განსვენებული ს ა ნ დ რ ო ყ ა ზ ბ ე გ ი და ბ ა ბ ო ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს ა. ამავე წლებში დასიდან გამოვიდნენ: მ. ყიფიანი, ბ. კორინთელი, გიგა ყიფშიძე, ზაალ მაჩაბელი და ადმინისტრატორი ჩუბინაშვილი.

მე ჩანჩალით მივყევი თეატრს 1884 წლამდის და, დავატყე რა, რომ არაფერი შვილი არტისტი ვარ, ჩამოვცილდი, თუმცა სულით და გულით მასთან ვიყავი და ვარ.

მგონია, ჩემის გაჭიანურებულის წერილებით თავი მოვაბეზრე ხათრიან და გულკეთილ მკითხველებს, მაგრამ ამას ვთხოვ, მომიტევეთ, თუ რამე შეცოდება მიმიძღვის ჩემს მოხსენებაში. მე, როგორც ნათლად დაინახა მკითხველმა, არც თეატრის ისტორიას ვწერდი, არც მისს კრიტიკას; მხოლოდ თეატრის ისტორიის დამწერისათვის მიწოდდა მიმეწოდებინა მასალად ის ცნობები სამუდამო სცენის დაარსების შესახებ, რომლის მოწამეც მე თითონ ვიყავი. ასე და ამ გვარად დაარსდა დღეს აყვავებული ჩვენი სამუდამო სცენა.

ცოდო გამჟღავნებული სჯობიაო, იტყვიან. ჩემს «მოგონებათა» გამომჟღავნებას საფუძვლად ერთი აზრი ედვა, რომელიც მდევნიდა და არ მასვენებდა აქამომდე, ვიდრე არ გამოვამჟღავნებ.

ერთი ჯურის ხალხი გვირევია ჩვენ, ქართველებს, სწორედ არ ვიცი, რა ვუწოდო, თავხედები თუ სულით ავადმყოფნი. ბატონო, რაზედაც უნდა დაიწყოთ ლაპარაკი, რომელი საზოგადო საქმის დაფუძნებაც უნდა ახსენოთ: თეატრის საქმე, სკოლების საქმე, წერა-კითხვის საზოგადოებისა, ბანკებისა, მეურნეობა-მრეწველობისა, – ერთი სიტყვით, რა საქმეც უნდა ახსენო, ისინი იმ წამსვე დაიძახებენ: «მე!» «მე» ვარ, რაც ვარ! ეს საქმე «მე» დავაყენე ფეხზედ, ისიც და სხვაც. «მე» რომ არ ვყოფილიყავი, არამც თუ ეს საქმეები არ გაკეთდებოდა, თვით ჩვენი ქვეყანაც არ იქნებოდა! სულ მე, მე და მე! ახა, ღმერთო ჩემო! ხშირად ეს თავხედები უსირცხვილოდ ისეთს რასმე უცნაურს წამოროშავენ, რომ კაცი პირდია დარჩება! უცბათ რომ დაიძახო საზოგადოებაში: «ვინ ააგო დიდებული მცხეთის ტაძარი?» – «მე!» გიპასუხებს. «ვინ აღმოაჩინა ამერიკა?» – «მე!» «ვინ არის გამოჩენილი ბურების სარდალი?» – «მე». კი არ გეხუმრებით, ბატონებო, არიან ამისთანა ავადმყოფები ჩვენში! ხშირად გამიგონია ამისთანა ლაპარაკი ქართული თეატრის შესახებაც, მაშინ, როდესაც ნამდვილი საქმის მუშაკნი, მისთვის თავდადებული მშრომელნი სადღაც კუთხეში ჩუმად მიკუნჭულები არიან და თავიანთ დაწყობილ საზოგადო საქმეს ნეტარებით და სასოებით თვალ-ყურს ადევნებენ. სწორედ მოგახსენოთ, აი, ეს გარემოება იყო ჩემ «მოგონებათა» გამოწვევის მიზეზი ამ ხანად. ამ მოგონებიდგან მკითხველი ცხადათ დაინახავს, რომ «მე»-ს კი არა, სულ სხვას გაუკეთებია საქმე! ეხლა წაბძანდნენ ეს ვაჟბატონები და ქუჩა-ქუჩა ცხვრებივით იბღავლონ «მე-ე!»

ეხლა კი ნახვამდის, ძვირფასო მკითხველო! მომიტევეთ თავის მობეზრება. თუ ინებებთ და ნებას დამრთავთ, კიდევ მალე გამოგელაპარაკებით.